რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 26 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ღირს: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან., ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზე [illegible]. განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; [illegible] განცხადებები [illegible] 5 მანეთი [illegible]—3 მანეთი. [illegible] არ დაიბეჭდება. [illegible] ადრესის გამოცვლისთვის [illegible] მოწერა—მოწერის კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში მიიღება ხელნაწერები. შეიძლება 10—12 ს.-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 106 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 106

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ელენე, შვილი ირაკლი, დედა ელისაბედი, ძმები ირაკლი და ილიკო ნანაძენი, რძალი მინა, ძმის შვილები პ. მ. [illegible], გიორგი, [illegible], ელენე, კატო, [illegible] ნანაძეები, დები: ტრიფონია ერქომაიშვილისა, ნინო ქეიშვილისა და ლიზა შარაშიძისა, სიძეები: კონსტანტინე ერქომაიშვილი, ნიკო ქეიშვილი და მიხეილ შარაშიძე, ბიძა მიტროფანე ნანაძე, ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ივლისს, ს. ხიდისთავში ქვენობნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ალექსანდრე არსენის ძის ნანაძის

სულის მოსახსენებლად.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ხუთშაბათს, 27 ივლისს, საღამოს 8 საათზე

თფ. ქალთა მესამე გიმნაზიის სააქტო დარბაზში (ბებუთოვის ქ. № 28)

პრაპ. **დ. მ. პოპოვი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

საქალაქო არჩევნები

ლექციაზე შესვლა 50 კ. ჯარის კაცთა და მოწაფეთათვის 25 კ.

შემოსავალი გადაიდება რუს. ს.-დ. მუშათა პარტიის საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ.

დღეს, 26 ივლისს, **სახალხო სახლში** საღ. 7 საათზე

მიხ. ნ. სმირნოვი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

აგრარული საკითხი და დამფუძნებელი კრება

ლექციის შემდეგ გამართება კამათი. ◆ ლექციაზე შესვლა უფასოა.

განცხადება

ქ. თფილისის ხორცით მოვაჭრეთა პროფესიონალური კავშირი

სათანადო წესდების დამტკიცების შემდეგ, ამით აცხადებს თავის წევრთა და სხვა თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ კავშირს ჰყავს თავისი გამგეობა, რომელიც უკვე შეუდგა მოქმედებას, და ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს განსაცხადებელი ან უკმაყოფილოა საქონლის ხორცის ან და საქონლის ყიდვა-გაყიდვით, საქმის გამოსარკვევათ და სამართლიან კანონიერ პასუხის გებაში მისაცემათ შეუძლიან მიმართონ კავშირის გამგეობას ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა საღ. 6—9 საათამდე.

გამგეობა დროებით იმყოფება ძმ. მანთაშევების სახლში, ბარონის ქ. № 9, სახელმწიფო ბანკის კანტორის გვერდით.

გამგეობა.

ოთხშაბათს, 26 ივლისს, საღამოს 7 საათზე,

მესამე სამოქალაქო სასამართლოს შენობაში, (ტურგენევის ქუჩა) შესდგება რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის ორგანიზაციის მეორე რაიონის მესამე ნაწილის (მეცხრე სამილიციო უბანი) კოლექტივის და საარჩევნო კომიტეტის

წევრთა შეერთებული კრება

ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლივ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

კანტორა

„განათლება"

ამ დღეებში პეტროგრადიდან მიიღებს სხვა და სხვანაირ

დიდძალ რევოლიუციონურ შინაარსის ლიტერატურას.

ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 30 მან. წიგნებს, იმათ დაეთმობათ მანეთზე 15 კაპ.

სადგური იორი

(კახეთის რკინის გზა)

გავხსენი

ბუფეტი

ვყიდი ყოველგვარ სუფთად

დამზადებულ საჭმელებს

აქვე იყიდება:

რძე, მაწონი და ახალი თევზი

პატივისცემით

ალექსანდრე დოლაძე.

1—3

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კან ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრონიზაცია. ტექნიკური ქუჩა, №

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი [illegible] ქუჩა № 67; [illegible] სახ. [illegible], სახ. სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, [illegible] სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9-დან საღ. 9 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლერმონტოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა სახლის ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

აირჩიეთ სოც. დემოკრატები!

პლუტოკრატია და ნაციონალისტური პარტიები ირაზმებიან, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ თფილისის ქალაქის თვითმმართველობა ხელთ იგდონ, იქ ძველებურათ იბატონონ და თავისი ბნელი საქმეები განაგრძონ.

ეს ადვილი ასახსნელია. უწინდელ ბატონობას არავინ დაუთმობს. რა გასაკვირია, რომ პლუტოკრატია და მისი ამყოლ დამქოლნი, რომელთა წინაშე ყოველ არჩევნის კითხვა იდგება, ყველაფერ ღონისძიებით ცდილობენ ბატონობის შენარჩუნებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ პლუტოკრატიის მეთაურები „სოციალისტურ" სამოსელში გამოეწყვნენ, შოვინისტები ეროვნებათა სალამურის ზარით [illegible] ტრებით გვევლინებიან და ამ გზით ამომრჩეველთათვის თვალის ახვევას ლამობენ.

მაგრამ დემოკრატია, რომელმაც დასცა მეფის ტახტი და ძმობა ერთობა თანასწორობის დროშა აღმართა, რომელიც ეს ოცი წელია მედგრათ იბრძოდა ყოველ გვარი უსამართლობის აღმოსაფხვრელათ, არ მიაყურადებს პლუტოკრატიისა და მის დამქაშთა ლამაზ სიტყვებით.

გადაათვალიერეთ სხვადასხვა პარტიებისა და ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სახმოსნო კანდიდატთა სიები. აქ ნათლათ გამოჩნდება, რა ხალხთან გაქვთ თქვენ საქმე, ვინ იმალება [illegible] სიტყვის უკან, რომელსაც [illegible], რომელნიც დღეს ხმას ეროვნულებას [illegible].

კადეტთა პარტიის სია № 7 სავსებით პლუტოკრატიის მეთაურთაგან შესდგება. აქ არიან [illegible], [illegible] და სხვა წარჩინებული პლუტოკრატები, რომელნიც მუდამ გადაჭრით ებრძოდნენ დემოკრატიას და ფეხქვეშ თელავდნენ მის უფლებებს. ამ პარტიისათვის ხმის მიცემა, ეს იქნებოდა პლუტოკრატიის მეთაურთათვის ნდობის გამოცხადება და დემოკრატიის დასამარება. **არც ერთი ხმა კადეტთა პარტიას, არც ერთი საარჩევნო ბიულეტენი პლუტოკრატიას!**

პლუტოკრატიის გვერდით დგას დაშნაკცუთიუნის პარტია (სია № 4). ის ფაქტიურათ პლუტოკრატიის მეთაურობას და მის დირექტივებს ასრულებს. გადახედეთ სიას და თქვენ იქ ამოიკითხავთ ალ. ხატისოვს, პლუტოკრატიულ საბჭოს მეთაურს. გადაათვალიერეთ დაშნაკელთა სია და ქალაქის თვითმმართველობის საქმეებში კვლავ ჩვენი ნაცნობი პლუტოკრატია წამოსკუპდება, რომელიც ერთი მხრივ შეუძლის [illegible] განაგრძობს და ქალაქის მეურნეობას თავისი ჯგუფური ინტერესებისათვის გამოიყენებს. **არც ერთი ხმა დაშნაკცუთიუნის სიას № 4, არც ერთი საარჩევნო ბიულეტენი პლუტოკრატიის დამქაშებს!**

საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე ახლათ გამოვიდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია (სია № 3), მაგრამ ის ჩვენში ყოველივე ნიადაგს მოკლებულია და ამიტომაც პარტიას გაუშინაურებული [illegible] და პლუტოკრატიის მეთაურები დაეპატრონენ. ამ პარტიის სიაში საპატიო ადგილზე წამოსკუპებულია თავადი არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ცნობილი მტერი დემოკრატიის და პლუტოკრატიული საბჭოს ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელთაგანი. ეს ცოტაა. ამ პარტიის სიაში თქვენ წააწყდებით ჟურნალისტ თ. ლებედევს. ეს ის ლებედევია, რომელიც ქვას ესროდა პლუტოკრატიული „ზაკავკაზსკაია რეჩ"-ის ფურცლებიდან იმ [illegible] აჯანყებულთ, რომელთაც მეფის მთავრობის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. რომ ხელი შეეწყო მეფის მთავრობისათვის, ლებედევი სიბირსკი [illegible] ლალატს აბრალებდა და მთელი ერის წინაშე ბნელ [illegible] აქეზებდა. რომელი ერთი უნდა მოვიგონოთ! [illegible] მოხელენი დღეს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიაში მოკალათებულან და ხალხისაგან მანდატს ითხოვენ. ამ რჩეულნი [illegible] შესაფერად დაფასდებიან. **არც ერთი ხმა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის სიას № 3! არც ერთი ხმა არღუთინსკების, ლებედევების და ავდეევების პარტიას!**

ამხანაგებო და მოქალაქენო! საარჩევნო ასპარეზზე გამოვიდნენ სხვადასხვა ნაციონალისტური პარტიები. საარჩევნო კომპანიის მიზანია პლუტოკრატიის დამხობა. ეს შეუძლია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას, როგორც მთელ დემოკრატიის ბურჯს. ნაციონალისტური პარტიები საარჩევნო ბრძოლას სულ სხვა ხასიათს აძლევენ და ნაცვლად სოციალური წინააღმდეგობისა ხალხს ეროვნულ სხვადასხვაობაზე უთითებენ. დასვით საკითხი ასე: ამით იმარჯვებენ პლუტოკრატია და ეროვნულ ბრძოლას გაჩაღებენ. არც ერთი ხმა ქართველთა, სომეხთა, მუსულმანთა და ებრაელთა ნაციონალისტებს. მათი გამოსვლა პლუტოკრატიის წისქვილის აბრუნებაა და დემოკრატიის დასუსტებას ემსახურება.

პლუტოკრატიის ბატონობის დამხობა ისტორიამ სოციალ-დემოკრატიას დააკისრა. იქ სადაც პლუტოკრატიის ტახტია, სოციალ-დემოკრატიული დროშა აფრიალდება, დროშა ხალხის ბატონობის და ერთა სოლიდარობის. **ხმა მიეცით სოციალ დემოკრატიულ პარტიის სიას № 1.**

იმპერიალიზმი და დემოკრატია.

მეოთხე წელია, რაც მსოფლიო ომი დაიწყო. შეგნებული დემოკრატიისთვის თავიდანვე აშკარა იყო, რომ ომი იმპერიალისტურია. მისი მიზანია არა წვრილ ერთა განთავისუფლება, როგორც ფარისევლურათ იწვევდნენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, არამედ ახალი ქვეყნების დაპყრობა და წვრილ ერთა გაძარცვა.

ომის განმათავისუფლებელ ხასიათზე ყველაზე უფრო გაჰკიოდნენ საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეები. ახლა სახეში ვიღებთ ის საბუთები, რომელიც გერმანიის კანცლერმა მიხაელისმა გამოაქვეყნა. აქ ნათლად გამოირკვა, რომ მეფის მთავრ. 1916 წ. დეკემბერში დათანხმდა, რომ საფრანგეთს გადაეცეს ელზას-ლოტარინგია, აგრეთვე მდ. რეინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერიტორია, რომელიც საფრანგეთის ნებართვით არის დასახლებული. მოკავშირეთა საიდუმლო ხელშეკრულობა აგრეთვე დიდ ტერიტორიალურ კომპენსაციას პირდება იტალიას. მოკლედ, იმპერიალისტური სახელმწიფონი საიდუმლოთ იყოფენ სხვადასხვა ქვეყნებს და თავის გემოზე სჭრიან წვრილ ერთა ბედს და მათ მომავალს.

რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია ვალდებულია ფარდა ახადოს იმპერიალისტთა საქმიანობას. არც ერთი ჯარისკაცი და არც ერთი კაპიკი იმპერიალისტური ომის საწარმოებლად. ჩვენ ყოველივე ზომა უნდა მივიღოთ ომის დაჩქარებით დასამთავრებლად და იმპერიალისტთათვის ნიღბის ჩამოსახსნელად. რევოლიუციონური მთავრობა ვალდებულია დაიჩქაროს საიდუმლო ხელშეკრულობათა გადასინჯვა და მათი გამოქვეყნება.

ომის იმპერიალისტურ მიზნებს უნდა დაუპირდაპიროთ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დაჩქარებით ჩამოგდება. ამ მიზნის მისაღწევათ საუკეთესო გზა იქნება სტოკჰოლმის ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია, რომელიც ახლო მომავალში შეიკრიბება.

იმპერიალისტების ბნელ მოღვაწეობას ფარდა ეხდება. დემოკრატიის გამარჯვების დღე ახლოვდება.

ჩვეულებრივი გზით.

„სარევოლიუციო" „სახალხო საქმეში" თვით ამ პარტიის მთავარი კომიტეტის რწმუნებული სამ. ფირცხალავა ალაპარაკდა. ალაპარაკდა იმ ენით, როგორც ეს ჩვეულებრივათ იმავე გაზეთის ზოგიერთ [illegible] ცილის მწამებელ [illegible]. სამ. ფირცხალავა მარტო ლაპარაკით არ საზღვრავს თავის მოქმედებას, მას ცალპირი, დაუწერებელი განაჩენებიც კი გამოაქვს... და სა[illegible] სასტიკი და შეუბრალებელი ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს!

რა დანაშაული მიგვიძღვის? მისი სიტყვით, —სოციალ დემოკრატებმა „ხელ-ახლა სცადეს ქუთაისში დარბევა ჩვენი (ფედერალისტ.) ორგანიზაციისა, სიღნაღში კანდიდატ იმსხვერპლეს ჩვენი იდეისთვის თავდადებული ამხანაგები, თიანეთში სამმათავრობო ბრძოლას იწვევენ, სიღნაღში არავითარ თავისუფლებას და მიტინგობას არ ეძლევიან, დადიოდნენ სოფელ სოფელ შეიარაღებულის დარაჯებით, ვით ბოქაულები ჩაფრებით, მათრახით აშინებენ მოწინააღმდეგეს და ჰქმნიან ისეთ სულიერ განწყობილებას, როგორიც არა თუ ჩამოთვლილში, გაცილებით უარესი, ვიდრე იყო თვითმპყრობელობის დროს".

ბრალდება, როგორც ხედავთ, მეტად სასტიკია. ამიტომ სასჯელიც სასტიკი—ეს ყაჩაღობის კატეგორიაში მოათავსა რწმუნებულმა იურისტმა! სორჩა და გათავდა! მაგრამ კითხვა იბადება: მოუსმინა მან მოწინააღმდეგეს? არა! არ მოუსმინა. მან გამოიტანა ცალპირი განაჩენი. მთავარი კომიტეტის რწმუნებულს კი მეტი მოეთხოვება!

თიანეთის ამბებს გაზეთის მესამედი ნაწილი უთმობს „სახალხოში"! განმარტებულია ყველაფერი ცალმხრივათ. რატომ არ დაუცდით, ბატონებო, იმ გამოძიებას, რომელსაც მომხდარი ამბების გამოსარკვევათ აწარმოებენ? თქვენ მიერ ათვალწუნებულმა თიანეთის ს. დემოკრატებმა ხომ უარყვეს ის, რაც [illegible], თუ ავაზაკობას, თქვენ მათ აბრალებდით? როცა საქმე გამოძიებული იქნება, ალბათ, ხელსაყრელი არ იქნება თქვენთვის განაჩენის გამოტანა!

სიღნაღის, ქუთაისის და სხვაგან მომხდარი ამბები,—ყველა ეს თქვენ სასარგებლოთ გადაწყდება? ეს ასე არ მოხდება და თქვენც სარგებლობთ შემთხვევით—მოწინააღმდეგეებზე ჰყრით ცილისწამებას აგროვებთ. აბა, რა მოსათავსებელი იყო გაზეთში ისეთი ცნობა ბორჯომიდან, თითქოს ვიღაც „შეგნებულმა" სოციალ-დემოკრატმა არჩილ ჯორჯაძე მოიხსენია როგორც ჯაშუში და ამის შესახებ ჩოხატაურიდან გრძელი პროტესტის დაბეჭდვა? რატომ არ დაასახელეთ ვინ იყო ეს „შეგნებული" პირი—მაშინ ხომ ყველა გაიგებდა, რომ ის შეგნებული კი არა, შეშლილი ყოფილა! ჩვენს წინააღმდეგ აქ ისევე ეფარებით არჩილ ჯორჯაძის ცხედარს, როგორც ამ ათი წლის წინათ ილიას ცხედარს ეფარებოდით და ტალახს გვესროდით!

რატომ ყველაფერი თქვენს გაზეთში ცალმხრივათ არის მოთხრობილი?

„სახალხომ" ამას წინათ სიამოვნებით გადმობეჭდა „საქართველოდან" ვიღაც [illegible] წინააღმდეგ ქართველ მხედართა „დელეგატების" ცილისწამებით სავსე წერილი. [illegible] პასუხის გადაბეჭდვა კი არ ინება ამ დარბაისელმა გაზეთმა და ამით [illegible] ცალმხრივი განაჩენი გამოიტანა.

ახლა ჩვენ ვეკითხებით „სახალხოს": რა ეწოდება ამას—„პარტიული მუშაობა თუ ავაზაკობა?"

დასასრულ სამ. ფირცხალავას შეკითხვაზე, თუ ყველა ამ უმსგავსოებათა ჩამდენი პარტიის წევრები არ არიან „რატომ პარტია აშკარად და გაბედულად არ ებრძვის მახინჯებს, რომელნიც მის სახელს ტალახში სვრიან?" მოვახსენებთ: პარტია, ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები, ჩვენი პარტიის წევრები ასეთ არა სასურველ მოვლენებს ყოველთვის „აშკარათ და გაბედულათ" ებრძოდნენ და ებრძვიან კიდეც; მათთვის ამის შესახებ ჩვენი დარიგებანი საჭირო არ არის, მაგრამ განა ეს თქვენ, დაგაკმაყოფილებთ? თქვენ ის კი არ გაწუხებთ, რომ ჩვენი „პარტიის სახელს ტალახში სვრიან", არამედ ის—თუ რატომ ვერაფერი ვერ დააკელით თქვენ ჩვენს პარტიას, რატომ ხალხში ვერ გაუტეხეთ სახელი, რატომ ვერ ამოსვარეთ ის ტალახში!

ამიტომ ბრძანდებით გაბოროტებულნი!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

პარტიის ყველა წევრებს.

დღეს მთავრობა ცდილობს აღმოაჩინოს იმ შეთქმულების სათავე, რომელმაც მიგვიყვანა პეტროგრადის 3—5 ივლისის საშინელ ამბებამდე. შეიძლებს თუ არა მთავრობა გახსნას ის კვანძი, რომელშიაც ერთი-მეორეში გადახლართულია ანარქო-სინდიკალიზმი, პროვოკატორობა, ჯაშუშობა და შავრაზმელობა,— ამით საქმის ვითარება არ შეიცვლება. სულ ერთია, დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ეს უკეთეს შემთხვევაში იყო პოლიტიკური ავანტიურა, რომელმაც, მიუხედავათ მასში მონაწილეობის მიმღებთა სურვილისა, დიდი ზიანი მიაყენა რევოლიუციას და მხოლოდ კონტრ რევოლიუციისა და გერმანიის შტაბს გაუწია სამსახური.

მაგრამ არის მთელ ამ საქმეში ერთი მხარე, რომელიც არ წარმოადგენს ინტერესს სასამართლოსათვის, განსაკუთრებით ძვირფასი საყურადღებოა პროლეტარიატის პარტიისათვის, სოციალ-დემოკრატიისათვის. ლენინის შტაბის მიერ დაწყებულ მავნე ავანტიურას შეეძლო მიეღო ასეთი ხასიათი და გამხდარიყო რევოლიუციისათვის საშიში მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შტაბს გაჰყვა მუშათა საგრძნობი ნაწილი და სოციალ-დემოკრატია კი უძლური აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციული ჩარევით ბოლო მოეღო დემაგოგიისათვის.

ლენინიზმთან ბრძოლა შეუძლია აწარმოოს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას, როგორც პროლეტარიატის პარტიას, ვინაიდან მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატია მაგრათ განამტკიცებს თავის გავლენას პროლეტარიატის მასაში, ლენინიზმიც არ იქნება საშიში. დროა ითქვას ხმამაღლა და გარკვევით, რომ „ბოლ-

საერთაშორისო ომი

აღმოსავლეთის ასპარეზზე გერმანელები განაგრძობენ შემოტევას. ბუკოვინაში ქ. ჩერნოვიცის სამხრეთით მათ დაიკავეს სოფლები გლიბოკა, კამენკა, ვოლჩინეცი, გალინ-ფალშაგორი და ქ. რადაუცი. ამ გზით თითქმის მთელი ბუკოვინა მტერმა დაიბრუნა. ბესარაბიის გუბერნიაში ჯარმა დაიკავა ქ. ხოტინი და წინ მოიწევს. ქ. კამენეც-პოდოლსკს ათი ვერსის მანძილზე მიუახლოვდენ

რუმინიაში მტერი ცდილობს ბრძოლის ხაზის გამოსწორებას და წინ წამოწევას. მათი შემოტევა ადვილდება, ვინაიდან ჯარის ერთი ნაწილი უკან უომრათ იხევს. მტერმა გადმოლახა მდ. ბისტრიცა და სატახტო ქალაქ იასისაკენ მოიწევს. მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

საფრანგეთის ასპარეზზე მკაცრი ბრძოლა წარმოებს. იერიშებს ორივე მოწინააღმდეგე ბანაკი აწარმოებს.

დანარჩენ ასპარეზებზე სიწყნარეა.

შევიზმი", ის ბოლშევიზმი, რომლის გამომხატველი და ხელმძღვანელი ლენინია, იმდენათ შორს წავიდა სოციალ-დემოკრატიისაგან, იმდენათ გაიჟღინდა ანარქო სინდიკალისტური იდეებით, რომ რაღაც გაუგებრობით, ინერციის ძალით ეფარება კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დროშას და მართალი იყო ლენინი, როცა რუსეთში ჩამოსვლისას განაცხადა, რომ ეს დროშა აწი არ არის მისი დროშა, როცა მან საქვეყნოთ ხელი აიღო სოციალდემოკრატობაზე.

ჯერ კიდევ 1903 წელში, როცა პირველათ მე-2 პარტიულ ყრილობაზე სოციალ-დემოკრატიული პარტია „ბოლშევიზმათ" და „მენშევიზმათ" დანაწილდა, დაიწყო ლენინისა და მისი მიმხრეების ეს გადახრა ბლანკიზმისა და ანარქო-სინდიკალიზმისაკენ. ჯერ კიდევ მაშინ სოციალდემოკრატიულ პარტიას, როგორც პროლეტარიატის მასიური პარტიის ორგანიზაციების მაგივრათ ის არსებდა შეთქმულთა წრეებს, რომლებსაც უნდა მიეწყო შეიარაღებული აჯანყება. ამ იდეისათვის მას არ უღალატნია დღევანდლამდე. ამ იდეის გამო ის უარჰყოფდა სახელმწიფო დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და ფართო ლეგალური მუშათა ორგანიზაციების შექმნას, როგორიც არის მაგ. პროფესიონალური კავშირები, კლუბები, კოოპერატივები და სხ. მაგრამ, თუ ცხოვრების ძალდატანებით ხელს იღებდა ბოიკოტზე, ლეგალურ მოძრაობას მაინც იმისთვის კი არ აფასებდა, რომ იგი (მოძრაობა) ხელს უწყობდა მუშათა მასსის შეკავშირებასა და გათვითცნობიერებას. მას უნდოდა ეს შეკავშირებაც გამოეყენებინა თავისი შეთქმულობითი ტაქტიკის ცხოვრებაში გასატარებლათ.

თავის ტაქტიკის გამარჯვებას ლენინი მუშათა მასსის ორგანიზაციულ თვითმოქმედებაზე, მუშათა შეგნებულ და აწონილ-დაწონილ მოძრაობაზე კი არ ამყარებდა, არამედ სტიქიურ აღელვებასა და უკმაყოფილებაზე, რომლითაც უნდა ისარგებლოს შეთქმულთა შტაბმა. ეს ტაქტიკა მიერეკებოდა მას დემაგოგიის გზაზე, ის იძულებული იყო ძალზე უკიდურესი ლოზუნგებით აეღელვებინა მასსა. იგივე ტაქტიკა უნდოდა მას გაეტარებია ომის დროს ინტერნაციონალში. მას იმედი ჰქონდა, რომ ის შექმნიდა ინტერნაციონალში შეთქმულთა მსოფლიო შტაბს, რომელიც გამოიყენებდა ფართო მასსის ომით გამოწვეულ სტიქიურ უკმაყოფილებას და შეძლებდა გაეჩაღებია სოციალური რევოლუცია მთელს მსოფლიოში.

და აი, ახლა ჩვენ ვხედავთ ამ ტაქტიკის გამოყენებას პეტროგრადში. 21 აპრილის სანიმუშო მობილიზაციის შემდეგ, 10 ივნისის გამართვის შემდეგ ეს ტაქტიკა უფრო ფართოთ გამოყენებულ იქნა 3—5 ივლისს. და, უნდა სიმართლე ითქვას, ლენინის შტაბის მიერ მიცემულ ნიშანზე გამოვიდენ მუშები, დიდ თუნდაც უმცირესობა, მაგრამ მაინც საგრძნობი მასსა. ცხადია, ამ მასსის გამოსვლა მოწმობს მუშებში არსებულ უკმაყოფილებას, მაგრამ ის, რომ ისინი გამოვიდენ ლენინის შტაბის დროშის ქვეშ, [illegible] სოციალ-დემოკრატიის გავლენის სისუსტეზე მათ შორის.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ რევოლუციის მიერ მოძრაობაში მოყვანილი მუშათა ფართო მასსა პირველათ ერევა პოლიტიკურ ბრძოლაში. პეტროგრადის პროლეტარიატის შემადგენლობაში ომიანობის დროს დიდი ცვლილებები მოხდა. ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობამ ჩაითრია სრულიათ ახალი წრეები ქალებისა, ახალგაზდებისა, სოფლიდან ახლათ ჩამოსულებისა და სხ. რომლებსაც რევოლუციამდე არ გაუვლიათ არავითარი სკოლა კლასობრივი ბრძოლისა, ორგანიზაციებში მუშაობას რომ თავი გაენებოთ. აღზრდა მათ მხოლოდ მიტინგებზე მიიღეს, პოლიტიკური შეგნება მათში მხოლოდ დღეს იღვიძებს. ამიტომ ისინი ადვილათ ხდებიან მსხვერპლი ანარქისტებისა, დემაგოგებისა და საზოგადოთ ყველა იმ პირებისა, რომლებსაც უკეთ შეუძლიათ ბრბოს მოხიბვლა, მისი ჯერ კიდევ ბუნდოვან კლასობრივ ინსტინქტებზე მოქმედება და მიუღწეველ დაპირებებით გატაცება, პოლიტიკური ცხოვრებისათვის ახლათ გამოღვიძებული და გამოუცდელი მასა ადვილათ ხდება ყოველგვარი დემაგოგიის მსხვერპლათ.

ასეთ საფრთხისაგან ამ მასის დაცვა შეუძლია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას. მათ შორის ფართო საგანმანათლებლო მუშაობით, მათი კლასობრივი შეგნების განვითარებით, მათი შეკავშირებით და თვით მოქმედების მიჩვევით, სოციალ დემოკრატიამ უნდა განამტკიცოს მათ შორის თავის გავლენა, რომ მათი სტიქიური მოძრაობა გაამდიდროს პროლეტარიატის საერთაშორისო კლასობრივი მოძრაობის მდიდარი გამოცდილებით.

მაგრამ ამისთვის თვით სოციალ დემოკრატია უნდა გამოვიდეს, როგორც ძლიერი, მთლიანი ორგანიზაცია, შექმნა მტკიცე პარტიული ორგანიზაციისა, რომლის შტოები უნდა მოეწყოს ყველა ფაბრიკა-ქარხნებში —აი ერთი მთავარი მიზანი, რომელიც გვიკარნახა უკანასკნელ დღეების ამბებმა. პარტიული ორგანიზაციის სისუსტე პეტროგრადში საგრძნობი შეიქნა განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში. ორგანიზაციის საუკეთესო ძალები მუშაობენ მუშათა დეპუტატების საბჭოში, მუნიციპალიტეტში, კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებებში, პროფესიონალურ კავშირებში, კოოპერატივებში, შემრიგებელ კამერებში და სხ. მაგრამ ისინი მუშაობენ დაქსაქსულათ, სუსტათ ან თითქმის სრულებით არ არიან შეკავშირებული პარტიულ ორგანიზაციასთან. ასეთი მდგომარეობა ასუსტებს პარტიულ ორგანიზაციას და ხელს უშლის მისი ავტორიტეტის მასსაში განმტკიცებას. საჭიროა ყველა ძალთა შეკრება და მათი მასსაში გაგზავნა ყოველდღიურ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობისათვის. თუ ამ მხრით ჩვენ ენერგიულ ზომებს არ მივმართავთ, ჩვენ შემდეგშიაც მოწამე გავხდებით მასსის ქანობისა ლენინიზმსა და ანარქიზმს, სოც.-რევ. ბუნდოვან სოციალიზმსა და დემაგოგ შავრაზმელთა შორის.

ამხანაგებო! რევოლუცია კრიტიკულ მდგომარეობაშია. სოციალ დემოკრატიას დღეს ორმაგი პასუხის მგებლობა აწევს: რევოლუციის და მუშათა კლასის ბედი. შეჰკარით რაზმები, მჭიდროთ შემოკრბით თქვენი პარტიული ორგანიზაციის ირგვლივ და დაეხმარეთ გახდეს იმათ, რათაც უნდა იყოს: ყველასათვის ცნობილ პროლეტარიატის კლასთა ბრძოლის ხელმძღვანელათ.

საორგანიზაციო კომიტეტი რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

პარტიული შეერთებული სიეზდი.

გუშინ შესდგა პირველი სხდომა შეერთებულ სიეზდის მომწვევ ცენტრალურ კომისიის საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით მოწვეული. დაადგინეს მოიწვიონ სიეზდი 10 აგვისტოს, სიეზდზე მოწვეულნი იქნებიან ყველა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც პარტიის წესდების და პროგრამის ნიადაგზე დგანან. ორგანიზაციები 500-1000 წევრებით გზავნიან 1 დელეგატს. ათასი წევრი გზავნის ერთს (500 ზე მეტი ითვლება ათასათ). ორგანიზაციები 500 ზე ნაკლები წევრებით შეუერთდებიან სხვა ორგანიზაციებს საერთო დელეგატის გასაგზავნათ. სიეზდის დღის წესრიგი ასეთი იქნება: 1) კომისიის ანგარიში, 2) პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის მიზნები, 3) აგრარული საკითხი, 4) ნაციონალური საკითხი, 5) დამფუძნებელი კრება, 6) პარტიის ორგანიზაცია, 7) ანგარიში ო. კ., 8) არჩევნები პარტიულ დაწესებულებებში.

მისამართი ცენტრალურ კომისიის, Фурштадская, 40, кв. 3.

დეპეშები.

გუშინ ღამით აკაკი ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: მთავრობის შედგენა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გუშინდელ სიაში შესწორებანი იქნა შეტანილი. პლეხანოვი მთავრობაში მონაწილეობას არ მიიღებს. ვაჭრობა მრეწველობის მინისტრათ აზრათ აქვთ მოიწვიონ პროკოპოვიჩი სალტიკოვის ნაცვლად. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრათ მოიწვევენ ნიკიტინს. შესაძლებელია მოხდეს კიდევ ზოგიერთი ცვლილებანი. ღამის 11 საათზე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტების შეერთებული სხდომა დაიწყება. გაარკვევენ პოლიტიკურ მდგომარეობას. კრების შედეგს ხვალ გაცნობებთ. საერთოდ პოლიტიკური მდგომარეობა უცვლელია. ფრონტებზე მდგომარეობა საშიშოა. მტრის სასტიკი იერიშების წყალობით ჩვენი ჯარები სამხრეთ-დასავლეთისა და რუმინიის ფრონტებზე უკან იხევენ. მტერი იმუქრება ბესარაბიისა და პოდოლიის დაპყრობით. სასურსათო საკითხი, როგორც ფრონტზე, ისე ჯარის ზურგში თანდათან მწვავდება. მიღებულია საჭირო ზომები. დაპატიმრეს ტროცკი და ლუნაჩარსკი. მათი დაპატიმრების შესახებ საბჭოთა დღევანდელ შეერთებულ სხდომაზე შეკითხვა იქნება შეტანილი. საერთაშორისო მდგომარეობა მკვიდრ ნიადაგზედა სდგას. მოსკოვის თათბირი, ალბათ, არ იქნება მოწვეული, უკეთუ მოხერხდა ახალი მთავრობის შედგენა.

(პეტ. დეპ. სააგ. 24—25 ივლისი).

პოლონეთში.

სტოკჰოლმი. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ პირველი აგვისტოდან ახალი სტილით შეუწყვეტიათ ჯამაგირის დარიგება პოლონეთის ლეგიონის ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის. მათ უარი უთქვამთ ფიცის მიღებაზე, ამიტომ ისინი სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გადაუყვანიათ.

მთავრობის კრიზისი.

პეტროგრადი. საღამოს 5 საათზე საზამთრო სასახლეში დროებით მთავრობას სხდომა ჰქონდა. სხდომას დაესწრო კერენსკი. კერენსკი შეუდგა მთავრობის შედგენას და ამ მიზნით მას მოლაპარაკება ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. კადეტთა პარტია იმის მომხრეა, რომ მთავრობა შედგენილ იქნას საერთო ნაციონალურ პლატფორმის საფუძველზე მიუხედავათ პარტიისა და ორგანიზაციისა. მათ კერენსკის სრული ნდობა გამოუცხადეს მთავრობის შედგენის საქმეში.

მოლდავანთა პროტესტი.

ოდესა. მოლდავანელთა საბჭო პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ უკრაინელთა რადა ცდილობს ბესსარაბია თავის გავლენის ქვეშ დააყენოს.

მოსკოვის ჯარებში.

მოსკოვი. ჯარების უფროსმა ბრძანება გამოსცა, სადაც ის უბრძანებს აფიცრებს და ჯარისკაცებს სისწორით და ერთგულათ აასრულონ სამსახური. ჯარებში საგიტაციოთ შესვლის ნება ისეთ პირებს აქვთ, რომლებსაც მოწმობა ექნებათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთაგან. წესრიგის დაცვა ევალება კომენდანტს, რომელიც საგანგებო უფლებებით არის აღჭურვილი. 24 ივლისიდან მოსკოვის გაზეთების სამხედრო ცნობები სამხედრო ცენზურას დაუმორჩილეს.

საერთაშორისო კონფერენცია.

ლონდონი. სოციალისტთა ბელადთა ხმები სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ შუაზე გაიყო მომხრენი იყვნენ დელეგატების გაგზავნისა: ჰენდერსონი, მაკდონალდი, უორდლი, ბრომლეი, სიდნეი, უებბი, სნოუდენი და რიჩარდსონი. წინააღმდეგნი—რობერტსი, ბრესსი, ბერნსი, ტილეტი, ოგრედი, ტორნი, კლეინსი და სიდონი.

ლონდონი. გამოქვეყნდა ბრიტანეთის მუშათა ლიგის მანიფესტი. მანიფესტი ეხება რუსეთის დელეგატების ინგლისში მისვლას და ამბობს: ინგლისში არ მოიპოვება ისეთი გონიერი ადამიანი, რომელიც უღრმესი სიმპატიით არ ეპყრობოდეს რუსეთს ამ საბედისწერო მომენტში, მაგრამ დადგა დრო, როცა უნდა ვაცნობოთ ჩვენს მოკავშირეებს, რომ რუსეთის რევოლუციონერების შეხედულებანი არ ეთანხმებიან ბრიტანეთის ნაციონალურ სუვერენიტეტს.

საფართლო მონოპოლია.

მოსკოვი საზოგადოებრივი ორგანიზაციების თათბირმა საჭიროთ სცნო რუსეთში საფართლო მონოპოლიის შემოღება. შესდგა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან კომიტეტი, რომელიც მუშებსა და გლეხებს შორის ფართლეულობას გაანაწილებს. ივლისში განაწილებული იქნება 200 მილიონი არშინი იაფფასიანი ფართალი.

არჩევნების სამზადისი ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. სენატის მიწერილობის თანახმად გენერალ გუბერნატორი შეუდგა სეიმის არჩევნების სამზადისს.

ევაკუაცია.

ჟიტომირი. სასანიტარო რაზმების ევაკუაცია ლუცკის და სტაროკონსტანტინოვკის მაზრებიდან შეწყდა. სამხედრო დეპუტატთა საბჭოს ინიციატივით მოეწყო „სიკვდილის ბატალიონები", რომლებიც პოზიციებზე იგზავნებიან.

ბოლშევიკების შეპყრობა.

კამიშინი. მგზავრი ჯარისკაცების მოთხოვნით ცარიცინიდან მომავალ გემზე დაპატიმრებულ იქნენ ბოლშევიკები მინინი და ანტონოვი. დარაჯთა თანხლებით ისინი სამხედრო ციხეში გაგზავნეს. მგზავრების თქმით ცარიცინში მათი დაპატიმრების წინააღმდეგი ადგილობრივი ჯარი იყო.

ომის დეპეშები.

პ. დ. ს.

დასავლეთის ფრონტი.

პეტროგრადი. 24 ივლისი. მდ. ბროდის დასავლეთით მტრის უმნიშვნელო იერიშები მოვიგერიეთ. ქ. ჩერნოვიცის რაიონში სოფ. ტოპოროუცის და რარანჩის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა, დაიკავა რამოდენიმე მაღლობი და მტერს უკან დაახევინა.

პოლკოვნიკ მერკულოვის ხელმძღვანელობით ჩვენმა რაზმმა მტერს წაართვა 4 ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველები. ამის შემდეგ მტერმა დიდი ძალებით შემოგვიტია და იძულებული გახდა ჩვენი ჯარები უკან დაეხიათ. ქ. ჩერნოვიცის სამხრეთით მტერი განაგრძობს შემოტევას განსაკუთრებით მდ. სერეტის ოთჩევის გასწვრივ და ჩვენს ჯარებს ახევინებს უკან. სოფლები: გლიბოკა, კამენკა, ვოლჩინეცი, გალინ-ფალშაგორი და ქალაქი რადაუცი მტრის ჯარების ხელშია. მტრის წინსვლის შეჩერების ცდამ შედეგი არ მოგვცა.

რუმინიის ფრონტი. კიმპოლუნგენის მიმართულებით მტერი განაგრძობს შემოტევას. რადგან ჩვენი ჯარების ზოგიერთი ნაწილები მტერს წინააღმდეგობას არ უწევს, ამიტომ იძულებული ვართ დავიხიოთ უკან. მტრის ჯარებმა გადმოლახეს მდ. ბისტრიცა ბროშჩენთან.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ არის.

რომი. მთელ ფრონტზე გაძლიერებული ზარბაზნების სროლაა. ღამით 22 ივლის მტრის აეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს დასახლებულ ადგილებში, იზონცის და ტალიამენტოს მიდამოებში. ყუმბარებმა მცირე ზარალი მოაყენა. მსხვერპლი არ არის. ალბანიაში ჩვენმა მხედრულმა რაზმმა ხელთ ჩაიგდო მთლათ ავსტრიელების რაზმი.

წინა ღამით ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაუყარეს მტრის არსენალის მიდამოებში.

პარიზი. 23 ივლისი. მდ. ენის მიდამოებში გერმანელები ცდილობდნენ სხვადასხვა ადგილას იერიშების მიტანას. ორი იერიში მოვიგერიეთ. ფრანკურის სამხრეთით მტერმა ცხარე იერიში მიიტანა. ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ სანგრებიდან გავრეკეთ გერმანელები. მდ. მაასის ნაპირებზე არტილერია მოქმედობს, განსაკუთრებით მორტომის რაიონში.

ლონდონი. 23 ივლისი. ფრანგების ჯარი კვლავ წინ მიიწევს. ჩვენმა ჯარმა ვერმელის აღმოსავლეთით იერიში მიიტანა მტერზე. დილით მოვიგერიეთ მტრის იერიში.

ახალი ამბები

საარჩევნო ბარათებისა და კონვერტების დარიგების ვადა ფოსტალიონების მიერ დღეს თავდება, ვისაც არ მიუღიათ მიაკითხეთ სამილიციო ნაწილებში და მიიღეთ.

◆ **ამხანაგებო და მოქალაქენო!** საქალაქო არჩევნები ახლოვდება 30 ივლისს ყველა მოქალაქემ უნდა შეასრულოს თავის მოვალეობა დემოკრატიის წინაშე. ბევრი ამომრჩეველი ამჟამათ ქალაქში არ იმყოფება. მათი ხმა კი ესაჭიროება დემოკრატიის ხელმძღვანელთ. არც ერთი ხმა არ უნდა დაიკარგოს. 30 ივლისს ყველანი ქალაქში უნდა იყვნენ და არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა. ყველა ამომრჩეველი მოვალეა თავის პოზიციაზე იდგეს დანიშნულ დღეს და ხმა მისცეს ჩვენ სიას № 1. პლუტოკრატიის ბატონობა უნდა დავამხოთ. ამას შეძლებთ თქვენი ხმებით. ამომრჩევლენო! 30 ივლისისათვის ჩამოდით ქალაქში, ვინც აქა ხართ, არსად წახვიდეთ და ხმა მიეცით სოც. დემ. სიას № 1.

◆ **დაშნაკცუტუნის „საქმიანობა".** 22 ივლისს მე-6 კომ. სარიაჯში რამდენიმე მოქალაქეს მეტათ საყურადღებო ოქმი შეუდგენიათ. ეს ვაჟბატონები დადიოდენ თურმე ეზოეზო და მოუწოდებდენ მოქალაქეებს მიეცათ ხმა № 4 (დაშნაკელების) სიისათვის. თუ № 1 (სოც.-დემოკრატების) სიამ გაიმარჯვა—დაიწყება თფილისში სომხეთა ჟლეტაო. ზოგიერთი შეშინებული მოქალაქე თურმე კონვერტიდან იღებდა № 1 ბიულეტენს და მის მაგიერათ შიგ სდებდა № 4.

◆ **ინსტრუქტორები.** ამიერ კავკასიის ცენტრალურმა კომისიამ, რომელიც ხელმძღვანელობს დამფუძნებელ კრების არჩევნებისა გადასწყვიტა იქონიოს ჯერ-ჯერობით ცხრა ინსტრუქტორი მთელი ამიერ კავკასიისთვის. ქუთ. გუბ. ბათუმის და სუხ. ოლქებისთვის უკვე მოიწვია ინსტრუქტორები და დაგზავნა ქუთ. გუბ. და ბათ. ოლქისთვის გიორგი ფულადა, სუხუმის ოლქ. გიორგი ქავთარაძე, და თფილ. გუბერნიისთვის ივანე ხელაძე. გაიგზავნა აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერ კავკასიაში სამი ინსტრუქტორი, სამიც ჩქარა გაიგზავნება.

◆ **გერმანიის ჯაშუში.** ბალაჯარის სადგურზე ვაგონში დაპატიმრეს გერმანელი სამხედრო ჯაშუში, რომელიც სპარსელი ხოჯის ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ჯაშუში აღმოჩნდა გერმანიის სამხედრო შტაბის ჯაშუში, რომელსაც უნივერსიტეტში ჰქონებია სწავლა დამთავრებული. ხალხს უნდოდა თვით გაესამართლებია ის, მაგრამ მილიციონერებმა ამის ნება მას არ მისცეს. ჯაშუში ახალგაზრდა კაცია. თავი ამაყად უჭირავს. დაჭერის შემდეგ დამსწრეთ სიტყვით მიმართა. მან სთქვა—სიკვდილის არ მეშინია და მზათ ვარ სამშობლოს მსხვერპლათ შევეწიროო. ხალხს უთხრა: თქვენში რომ ისეთი კეთილ-შობილი პირები მოიპოვებოდენ, როგორც ეს ჩვენში არიან, რუსეთს ყოველთვის შეეძლო ომის მოგებაო. („რეს.")

◆ **ნიხრი.** გუშინ ძალაში შევიდა თფილისის სასურსათო კომიტეტის მიერ დამტკიცებული 6 ნიხრი. ამ ნიხრის ძალით უნდა გაიყიდოს: წვრილი ლობიო 20 კ. გირვანქა, პამიდორი 20 კ. გირ. (7 მ. ფ.), ახალი კომბოსტო 20 კ. გ. (7 მ. ფ), სტაფილო 20 კ. გ. (7 მ. ფ), კარტოფილი 12 კ. გ. (4 მ. ფ), ხახვი 15 კ. გ. (5 მ. ფ.), კიტრი 5 კ. ცალი (ასი 4 მ.), [illegible] კიტრი 7 კ. ც., პატრიჯანი 5 კ. ც., (ასი 3 მ. 50 კ.), საზამთრო 10 კ. გ. (3 მ. ფ), ნესვი 25 კ. გ. (8 მ. ფ.), ატამი 1, 2, 3 ხარ. 40, 30 და 20 კ. გ., ქლიავი 1, 2, და 3 ხარ. 40, 25 და 10 კ. გირ., ლეღვი 25 კ. გ., მსხალი 1, 2 და 3 ხარ. 40, 30 და 15 კ. გ., ვაშლი 1, 2 და 3 ხარ. 45, 25 და 10 კ. გ., ერბო 2 მ. 50 კ. გირ., (92 მ. ფ), კარაქი 2 მ. 30 კ. გ. (84 მ. ფ.), ყველი შვეიცარული, ჰოლანდიის, თუშური, „მოთალი" 1 მ. 60 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 10 კ. 1 მ. მ 20 კ. გ.

◆ **კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების** საბჭოთა ცენტრის აღმასრულებელ კომიტეტმა 24 ივლისის სხდომაზე მიიღო მიმდინარე მომენტის შესახებ ამხ. ევგენი გეგეჭკორის შემდეგი რეზოლუცია: „კონტრ-რევოლუციონური ძალები ყოველივე საშუალებით ცდილობენ ნდობა დაუკარგონ ფართო მასსაში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და მით ნიადაგი მოუმზადონ რესტავრაციას. დემოკრატია იცავს თავის ორგანიზაციებს, როგორც რევოლუციის ერთად ერთ საფუძველს და მის ძლევამოსილ განვითარების თავდებს და როგორც რევოლუციონურ ხალხის ნების გამომხატველ უფლებით აღჭურვილ ორგანოს. ამიტომ დემოკრატია მთელი ძალ-ღონით უნდა აღუდგეს წინ კონტრ რევოლუციონერების ცდას, რომელიც მიმართულია რევოლუციონურ დაწესებულებათა ნდობა გავლენის წინააღმდეგ. ლიბერალურ ბურჟუაზიის მიერ დროებით მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში ამჩნევს რა დემოკრატიის ხელებიდან მართვა-გამგეობის გამოგლეჯისა და რუსეთის სახელმწიფოებრივი ბედის უკან დაწევის სურვილს—მ. ჯ. დ. გ. დეპ. საბჭოთა ცენტრი ფიქრობს, რომ მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა კოალიციონური მთავრობის აღდგენა 8 ივლისის დეკლარაციაში აღნიშნულ პლატფორმის მიხედვით. ამ პლატფორმიდან გადახვევა, აგრეთვე მთელი მართვა-გამგეობის ბურჟუაზიისათვის გადაცემა იქნებოდა კონტრ-რევოლუციისათვის დათმობა და დემოკრატიის დასუსტებისაკენ [illegible]. კერძოთ, თანახმათ სრულიათ რუსეთის მ., ჯ. და გ. დეპ. საბჭოთა ყრილობის რეზოლუციისა, ცენტრს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია მე-4 სახ. დუმის მოსპობა, რომელიც მოქმედობს საკანონმდებლო დაწესებულების ფირმით. ამასთანავე საჭიროა სასტიკი ზომების მიღება კონტრ-რევოლუციონერთა ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებიც მუშაობენ ამ ანტიხალხოსნურ დაწესებულებაში. მხოლოდ სასტიკ ბრძოლას კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ შეუძლია მიგვიყვანოს დემოკრატიის გამარჯვებამდე და განამტკიცოს რევოლუციის მოპოვებანი.

◆ **გურიიდან გვწერენ:** ნოტარიუსებს მოუვიდათ ნებართვა მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ამიტომ ეხლა ზოგიერთები გაფაციცებით ყიდიან განსაკუთრებით ტყეებს. ჩვენი თავად-აზნაურებიც ამისი დიდი მსურველები არიან. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა.

◆ **ბათუმის საქალაქო არჩევნები.** ბათუმის საქალაქო არჩევნების შესახებ საჩივრები შემოდის ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში. ამიტომ კომიტეტი დეპეშით აცნობებს ბათუმში, რომ ახალი შემადგენლობის საბჭო არ უნდა იქნას მოწვეული, სანამ არ შემდგარა სამედიატორო სასამართლო.

◆ **ამხ. აკაკი ჩხენკელი დაბრუნდა** თფილისში. იგი სოხუმის ოლქში იყო წასული სხვადასხვა საქმეების გამო.

◆ **მოქალაქეთა საყურადღებოთ!** უკანასკნელ ხანებში მოქალაქეთა ბინებზე დადიან მილიციონერისა და ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი პირები ვითომდა ბინის გასაჩხრეკათ. ნამდვილათ კი არც ქალაქის მილიციასთან, არც თფილისის გარნიზონთან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ და მხოლოდ მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯას ეწევიან. ამის გამო მილიციის უფროსი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ყველა მილიციონერს აქვს ბილეთი, რომელიც უნდა წარადგინოს მოქალაქის ბინაზე შესვლისას იმის დასამტკიცებლათ, რომ იგი ნამდვილი მილიციონერია.

◆ **სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში** მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირმა სრულიათ რუსეთის მ., ჯ. და გ. დეპ. საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი ღრმათ აღშფოთებულია სტოლიპინის დუმის კონტრ რევოლუციონური გამოსვლებით. მასლენიკოვების გამოსვლაში პროფესიონალური კავშირი ხედავს რევოლუციის წინააღმდეგ გალაშქრებას და ამიტომ მოითხოვს ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტებისაგან, როგორც რევოლუციის განმასახიერებელ ერთად ერთ ორგანოებისაგან, მიიღოს დაჩქარებით ზომები 3 ივნისის მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელათ და კონტრ-რევოლუციონერთა საბრების სავსებით გასანადგურებლათ".

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** აგენტებისაგან ფულის მიუღებლობის გამო დღეს უკანასკნელათ იგზავნება გაზეთები: ზუგდიდში, სენაკში, ყვირილაში, ზანძაში, [illegible], ჩაქვში, გორში, კახეთის რკინის გზაზე და ალექსანდროპოლში. გაზეთების გზავნა შეუწყდება აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ფულს არ გამოგზავნის პირველ აგვისტოდან. უფასოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

◆ **საჭიროა აგენტები:** ბაქოში, ქობულეთში, ბალაჯარაში და ტრაპიზონდში.

◆ **გაზეთის გაწერა.** ალექსანდრე შელიძემ ჩვენი გაზეთი წლის ბოლომდე გაუწერა ს. აგარის სამკითხველოს.

◆ ვიპოვნე ტრამვაის ვაგონში უბის წიგნი, რომელშიც აღმოჩნდა 124 მ. ფული და ჯარისკაცის მოწმობა ალექსანდრე იმედაშვილის სახელზე მიცემული კავკასიის სარტილერიო დივიზიონის 1 ბატარეის მიერ. დამკარგველს შეუძლია მიიღოს სადგურის უფროს ნესტორ [illegible] ტრამვაის კანტორაში ან მუშთაიდის შესახვევში № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებები და მიტინგები

დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება მკერვალთა კავშირის საზოგადო კრება კავშირის ბინაზე. დღის წეს რიგი: მოხსენება კავკასიის მკერვალთა კონფერენციის შესახებ, საქალაქო არჩევნები 30 ივლისს, არჩევნები საკონფლიქტო და განმანათლებელი კომისიებისა, მიმდინარე კითხვები. კავშირის გამგეობა სთხოვს ამხანაგებს, რომ უეჭველათ მობრძანდენ კრებაზე, რადგან გასარჩევი საკითხები მეტად საინტერესო და საჩქარო.

— დღეს, საღამოს 4 საათზე, ხარფუხის პუშკინის სახელობის სკოლაში დანიშნულია მე 3, 4 და 5 ნაწილების მკერვალ ქალთა პროფესიონალური კავშირის რაიონული კრება. გასარჩევია: მიმდინარე მომენტის საკითხი, გამგეობის დამატებითი არჩევნები და საკითხი საწევრო გადასახადის შესახებ. ამ გვარივე საკითხების გარჩევა ხვალ, საღამოს 4 საათზე სოც.-დემ. კლუბის დარბაზში (უდელნი ქუჩა № 3) დანიშნულია ავლაბრის და საბურთალოს მკერვალ ქალთა პროფესიონალური კავშირის კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში ამხ. მ. სმირნოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „აგრარული საკითხი და დამფუძნებელი კრება“. ლექციაზე შესვლა უფასოა.

—დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) დანიშნულია თფილ. კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. პრეზიდიუმის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს. ვაქეთა მე 6 გიმნაზიის შენობაში (საუფლისწულო ქ. Удельная) 1 სამილიციო უბნის სოც. დემოკრატიული საარჩევნო ბიურო იწვევს ყველა პარტიულ ამხანაგებს სხვა და სხვა საყურადღებო კითხვების გასარჩევათ. დაბეჯითებით ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

პროვინციის ქრონიკა.

ქართლი. ჯარისკაცთა ოჯახების „პაიკების“ დარიგება გვიანდება მთელ ქართლში. ამ ფულების გამნაწილებელი ორგანო, რომელიც მოთავსებულია ქ. გორში, ვერა სდგას თავის მოვალეობის სიმაღლეზე, ფულების დარიგების საქმე აწეწილ-დაწეწილია და ეს გარემოება დიდს უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში.

სად. აზარა. 14 ივლისს ქარელის მილიციონერებმა დაატყვევეს აქ ორი სურამელი სპეკულიანტი, რომელთაც ეყიდნათ აყარებული ყველი სოფლებში და ფარულათ მიქონდათ საბგარაჯო ადგილებში გასასყიდათ. ყველი ჩამოართვეს და გადასცეს ქარელის აღმ. კომიტეტს.

სოფ. ახალ-დაბა. ქარტის მთიდან ოსებმა გაიტაცეს სოფ. ახალ-დაბის მცხოვრებთა: მ. ქველაძის, ვ. გონცაძის, ლ. ლომიძის, გ. ფაფარიძის, ს. ბლიაძის და თ. ლომიძის 9 სული კამეჩები. აღმასრულებელ კომიტეტების ენერგიული ზომების წყალობით დაკარგული საქონელი სწრაფათ აღმოაჩინეს ტყეშივე.

სად. ხუმბათოვო. 16 ივლისს ღამის 12 საათზე საბარგო სახალხო მატარებელმა № 34 გასრისა მე 10 ვერსის რკინის გზის ხიდის დარაჯი სერგო გელაშვილი. გელაშვილი წვრილი ცოლ-შვილის პატრონია, ერთი ძმა ომში მოუკლავთ, მეორე დაკარგულია.

დ. ხაშური. ხაშურის რაიონის სასურსათო კომიტეტმა 14 ივლისის სხდომაზე აირჩია გამგეობა. გამგეობაში აირჩიეს: მასწავლებლები—წიწონავა და მელიქაძე, მემამულე მეიერი და წისქვილის კოოპერატივის გამგე ივ. მურვანიშვილი. თუმცა ყველა ეს არჩეული პირები პატიოსანი პიროვნებები და ენერგიული ხალხია, მაგრამ ერთის გარდა ყველა სამსახურში იმყოფება და ეს გარემოება კი შეაფერხებს სურსათის მოწესრიგებისა და რიგიან ნიადაგზე დაყენების საქმეს. სასურველი იყო ამ გამგეობაში სოფლელების წარმომადგენლებიც ყოფილიყვნენ.

— ხაშურ-ბორჯომ-სურამის რაიონის ჯარისკაცთა, მუშების და გლეხთა საბჭოების აღმ. კომიტეტის განკარგულებით ამ რაიონის ჯარების გარნიზონის უფროსის ბრძანებით მოხდა მთელ ამ რაიონში დეზერტირების დაჭერა. დაჭერას შეუდგნენ 19 მკათათვიდან და დამთავრდა 20 ივლისს საღამოს. დაატყვევეს აყარებული დეზერტირები და სხვა გადამალული პირები. დეზერტირების მოკრეფაში მონაწილეობას იღებდნენ ჯარისკაცები, ხაშურის მუშათა მილიცია, ხაშურის აღმ. და სოფლების აღმ. კომიტეტების მილიცია. წესიერება არსად არ დარღვეულა.

— 19 ივლისს მოხდა ხაშურში მთელი ამ რაიონის აღმ. კომიტეტების საქმის მწარმოებელთა (письмоводителей) ყრილობა სხვა და სხვა საკითხებზე მოსალაპარაკებლათ.

სად. ბაირამლი (მაჰმად. სოფელი) ადგილობრივ მაჰმადიანთაგან დაარსებულ კოოპერატივში „ისლამიაში“ გამგეობაში და სარევიზიო კომისიაში არჩეულნი არიან შემდეგი პირები: მაჰმად.: ქ. ვალი-ოგლი, მ. გადჟი ოგლი, მ. ადილ-ოგლი, ახლიმა ბეკ ნასიმაბეკოვი, პაშა გადჟი მამედ ოგლი, ალხან გადჟი ბალაკიში ოგლი. შაბალ გადჟი გულალ ოგლი. ქართველი გიორგი ლუმბაძე და მალაქი კობერიძე. სომხებ. პ. შახბაზოვი და ტ. ლალაევი.

8 ივლისს მაჰმადიანთა გამართულ კრებაზე (700) კომლმა მაჰმადიანებმა აირჩიეს ივანე დიმიტრის ძე მჟავია, როგორც მეთვალყურე აღმ. კომიტეტისა.

№1

Голосую за списокъ

Россійской Соціалъ-Демократической Рабочей Партіи.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ՌՈՒՍԱՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼ-ԴԵՄՈԿՐԱՏԱԿԱՆ ԲԱՆՎՈՐԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹԻՒՆ.

روسیه اجتماعیون عامیون فعله فرقسی

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიამ გამოსცა ზემო მოყვანილი ბარათები. **ბარათები დაბეჭდილია წითელი ასოებით.** ყველა მუშამ, ყველა ჯარისკაცმა, ყველა მოქალაქემ ზემო აღნიშნული ბარათი უნდა ჩადოს იმ ბეჭედ-დაკრულ კონვერტში, რომელიც მას ფოსტალიონებმა მიუტანეს. ეს კონვერტი შეინახეთ საარჩევნო დღისათვის. 30 ივლისს ამ კონვერტს ჩააგდებთ საარჩევნო ყუთში იმ ადგილებში, რომელიც ნაჩვენებია საარჩევნო ბარათზე.

ფოსტალიონები კონვერტებთან ერთათ არიგებენ საარჩევნო ბარათებს (избирательная карточка). ეს ბარათებიც შეინახეთ არჩევნების დღისათვის და იქ წარადგინეთ შესვლისას. უამისოთ ხმის მიცემა არ შეიძლება.

არც ერთი ხმა სხვა პარტიების სიას. ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1-ს.

სოფ. აბაშა. (სამეგრელო). 9 ივლისს, ადგილობრივ შკოლის დარბაზში ამხ. ზ. თევზაიამ წაიკითხა ლექცია „დემოკრატიულ რესპუბლიკა“-ზე, ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო. ლექციის შემდეგ ხალხმა ორატორს ბევრი სხვადასხვა საინტერესო კითხვებით მიმართა. ის კითხვები, რომელნიც ლექციის თემას ეხებოდა, ლექტორმა სავსებით განმარტა, მხოლოდ სხვა საკითხებზე ცალკე ლექციის წაკითხვა შეჰპირდა. სოფელ აბაშის სოციალ დემოკრატების პარტიის წევრნი ღრმად მადლობას სწირავს ამხ. თევზაიას, რომელმაც არ დაიშურა თავისი შრომა და ლექციიდან შემოსული 106 მან. 45 კაპ. სრულად დასტოვა ადგილობრივ კლუბის სასარგებლოდ.

† სტუდ. გრიგოლ (გრიშა) სვიმონის ძე თაბუკაშვილი.

(ქ. კიევი).

13 ივლისს, კიევის უნივერსიტეტის სტუდენტმა გრიშა ს. თაბუკაშვილმა ტყვიით თავი მოიკლა.

განსვენებულმა გაათავა თფილისის ქართული გიმნაზია და 1913 წ. შევიდა კ. უნივერსიტეტში ფიზიკ.-მათემატიკურ ფაკულტეტზე. განსვენებული მეტის მეტი პატიოსანი და მშრომელი კაცი იყო.

დაემხო რა ძველი წეს-წყობილება გრიშა გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას. იგი იმდენათ გაიტაცა მუშაობამ, რომ სამშობლოში წამოსვლაც ველარ მოახერხა და ზაფხულზე აქ დარჩა. შრომამ, დღევანდელმა არა ნორმალურმა მდგომარეობამ იმოქმედა განსვენებულის სუსტ აგებულებაზე. უკანასკნელ ხანებში იგი უბრალო კამათის დროსაც მეტად ღელავდა. ხშირად ვეუბნებოდით ამხანაგები: „გრიშა, დაღალული ხარ, წადი სამშობლოში, და სუფთა ჰაერზე ცოტა მაინც დაისვენეო“, მაგრამ იგი გაიღიმებოდა და მოკლედ გვიპასუხებდა: „განა ეხლა დასვენება შეიძლება, როდესაც არ ვიცით თვითეული წუთი რას მოგვიტანს“-ო.

გრიშას დაკარგვით დავკარგეთ ერთი საუკეთესო მუშაკი. მისი დაკარგვა საგრძნობია არა თუ ქართველ სტუდენტობისათვის, არამედ მთელი დემოკრატიისათვის.

განსვენებულს მრავალი წერილები დაუწერია წინა ღამით. წერილებს სწერს მშობლებს და ამხანაგებს, ამხანაგების წერილებში იგი არ იხსენიებს მიზეზს თავის მოკვლისას. ბოდიშს იხდის ყველას წინაშე და პატიებას გვთხოვს: „მშვიდობით, ვშორდები ამ სოფელს, მაპატიეთ“-ო თავდება წერილები.

ჩვენის აზრით თვითმკვლელობა აიხსნება მეტი დაღალვით, ძარღვების აშლით.

განსვენებულმა მხოლოდ რამოდენიმე საათი იცოცხლა და დალია სული. განსვენებულის გვამი 15-ს გამოვასვენეთ სადგურზე და გამოვისტუმრეთ სამშობლოში.

მშვიდობით ძვირფასო გრიშა. შენ არ დაგვივიწყებს ჩვენი სახელოვანი დემოკრატია.

ამხანაგი მიშა.

გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო წერილები.

ჩვენო მასწავლებელო და აღმზრდელო ამხანაგო გიორგი! მუხლს ვიდრეკ [illegible] იდეალით გაცისკროვნებულ შენი სპეტაკი სულის წინაშე, რომელიც ჩვენ ცხოვრების წყვდიადს გვინათებდა, გვამაღლებდა და საერთო ბედნიერება-ნეტარებისაკენ გვეზიდებოდა. შენი დაუღალავი ენერგია, თავ-გაწირვა, შენი მოხიბლავ-მომაჯადოებელი გულწრფელობა, სიპეტაკე და პირდაპირობა იდეალი იქნება ჩვენთვის.

სამაგალითო სიცოცხლით და ცხოვრებით მშრომელი ხალხის გულში ღრმათ გაითხარე შენ საფლავი, იქ ჩაიმარხე, დაიდგი ხელთ-უქმნელი, სამარადისო ძეგლი და მით უკვდავყავ შენი სპეტაკი სახელი.

ხ. პართენაშვილი.

—

19 ივნის აბასთუმნიდან დეპეშამ სამწუხარო ამბავი გვაუწყა. ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი გიორგი მარსაგოვი. განსვენებული ერთი საუკეთესო დამცველი იყო მუშათა ინტერესებისა. ის წყნარი და მშვიდი ადამიანი იყო, მაგრამ მედგარი შეუპოვარი და დაუღალავი დამცველი სოციალ-დემოკრატიული იდეისა. მას კარგათ იცნობენ თფილისის ძველი მუშები. განსვენებულმა აქტიური მუშაობა 1901 წ. დაიწყო და მას შემდეგ ერთხელაც არ გადაუხვევია ამ გზიდან. დიდი დანაკლისია ასეთ გიორგის დაკარგვა. სამწუხაროა, ამხანაგო შენი დაკარგვა მით, რომ შენ არ გეღირსა ამ თავისუფალ რევოლიუციონურ რუსეთში თავისუფლათ განავარდება. ეს მოხდა ძველი რეჟიმის წყალობით, მაგრამ დეე ამხანაგო განისვენე იქ, სადაც შენ სთანა მრავალი ჩვენი ამხანაგები განისვენებენ. შენი ამხანაგები არასოდეს არ დაგივიწყებენ...

ამიერ კავკასიის მომხ. საზოგადოებათა კავშ. მოხამსახურეები.

სოციალისტ-რევოლიუციონერების კინკლაობა.

სოციალისტ რევოლიუციონერების პარტიის თფილისის კომიტეტისაგან ამხ. ალექსანდრე ლომთათიძემ შემდეგი წერილი მიიღო:

„ღია წერილი ამხანაგ ა. ლომთათიძეს. 18 ივლისს 1917 წლისა საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ჩვენმა ამხანაგებმა სადგილ მამულო კომისიაში წამოაყენეს ამხანაგ ავდეევის კანდიდატურა.

ეს კანდიდატურა თქვენ მოხსენით და ამასთანავე განაცხადეთ, რომ ავდეევს თითქოს რაღაც ბრალდებისაგან თავი არ გაუმართლებია, რომლითაც როგორც მას, ისე მის წამომყენებელ პარტიას ჩირქი ეცხება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვინაიდან კანდიდატურის ასეთი მოხსნა თქვენ მიერ მოხდა რევოლიუციონური ორგანოს საზოგადო კრებაზე, მიზეზი ამის უნდა დამტკიცებულ იქნას საბუთებით. ამიტომ დაჟინებით მოვითხოვთ რათა თქვენ 48 საათის განმავლობაში გადაჰკრით და სისწორით წამოაყენოთ თქვენი ბრალდებანი“, ხელს აწერენ: კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბერეზოვი; მდივანი—ვ. ხვატალოვი.

ქ. თფილისი, 20 ივლისი 1917 წ.

ალ. ლომთათიძის პასუხი.

„სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის თფილისის კომიტეტს. პატივცემულო ამხანაგებო! სანამ არსებითად შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, რამდენიმე სიტყვით შევეხები საკითხის ფაქტიურ მხარეს: 18 ივლისს, როცა თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე ავდეევის კანდიდატურა წამოაყენეს საგუბერნიო სადგილ-მამულო კომისიაში, მე შემდეგი ვსთქვი: იმ ამხანაგებმა, რომლებმაც ავდეევის კანდიდატურა წამოაყენეს, უწყიან თუ არა, რომ თფილისის ზოგიერთ გაზეთებში ავდეევის წინააღმდეგ გარკვეული ბრალდება იყო წამოყენებული და თუ ეს მათ მოეხსენებათ, კითხვა იბადება—თავი გაიმართლა ავდეევმა ამ ბრალდებათაგან თუ არა? ჩვენ აქ უნდა ვილაპარაკოთ ისე როგორც ეს შეფერის პოლიტიკურათ მომწიფებულ ადამიანებს, მით უმეტეს, რომ მთავრობის რევოლიუციონური ორგანო, აღმასრულებელი კომიტეტი, ირჩევს რევოლიუციონერსავე ორგანოს. ორგანოს მეტათ სერიოზულს, სახელდობრ—სადგილ-მამულო კომისიას და ამიტომ გვმართებს სიფრთხილე. აი რა ვსთქვი მე.

ახლა შევეხოთ თქვენი ჩემდამი მომართულ წერილის არსებითი მხარეს. თქვენ მოითხოვთ რომ რევოლიუციონური ორგანოს სხდომაზე ავდეევის გადაყენების მიზეზი და წამოყენებული ბრალდებანი უნდა საბუთებით დავამტკიცო გარკვევით და სისწორით 48 საათის განმავლობაში.

კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ პირადათ მე ავდეევის წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არა მაქვს, მაგრამ ამაზე არა ნაკლებ კატეგორიულათ ვამტკიცებ, რომ მე ვალდებული ვიყავი შევკითხებოდი ამხანაგ სოციალისტ-რევოლიუციონერებს, რომელთაც ავდეევის კანდიდატურა წამოაყენეს, მოეხსენებათ თუ არა მათ, რომ ავდეევს გადაჰკრითა სდებდენ ბრალს. მე ვფიქრობდი, რომ ავდეევის ამხანაგები ადგებოდენ და როგორც შეფერის რევოლიუციონერებს და სოციალისტებს საზოგადოთ, განაცხადებდენ რევოლიუციონურ ორგანოს სხდომაზე, რომ მათი ამხანაგი ავდეევი ცილის წამების მსხვერპლი გახდა, რომ მისი გაშავება მოინდომეს ულირსმა პირებმა და რომ ისინი ავდეევმა კაი ხანია სამარცხვინო ბოძზე გააკრა როგორც ცილის მწამებელნი და თავიც გაიმართლა. ნაცვლად ამისა, მთელმა კრებამ მოისმინა მხოლოდ ამხ. ზაცკის რაღაც ბავშვური ტიტინი, რომ ავდეევს იცნობს თვით ვ. ჩერნოვიო. და განა ეს იყო ჩემი შეკითხვის პასუხი? და იქნებ თქვენ ფიქრობთ, პატივცემულო ამხანაგებო, რომ მე არ მქონდა უფლება მოვქცეულიყავი ისე, როგორც მოვიქეცი? არ მქონდა უფლება გამეგო შეუძლია რევოლიუციონურ ორგანოს და მეც როგორც მუშათა დეპუტატების საბჭოს დელეგატს, ჩემი არჩევანი შემეჩერებია წამოყენებულ კანდიდატზე?

მე სრულიადაც არ ვრაცხ თავს ვალდებულათ სხვის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს ფორმულიროვკა გავუკეთო, მაგრამ ამასთანავე არ შემიძლია კითხვა არ დავუსვა და წინადადება არ მივცე სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას, რომ მან მოსთხოვოს თავის წევრს ავდეევს, რათა მან გაზეთის საშუალებით საქვეყნოთ განაცხადოს, თუ რა პასუხი გასცა მან თფილისში ყველას მიერ ცნობილ ჟურნალისტ მოქალაქის გრ. დიასამიძის მის წინააღმდეგ დარბაისლურ გამოსვლას, რა პასუხი გასცა მან მოქალაქე ი. გ. ალიბეგოვს, რომელმაც 9 თებერვალს 1916 წ. სამეურნეო საზოგადოების კრებაზე მის წინააღმდეგ ილაპარაკა? რა ნაირი იყო მისი პასუხი მოქალაქე გოგოლაშვილის წერილებზე? რა უპასუხა მან გაზეთ „დენის“ თანამშრომელს მოქალაქე პ. ქავთარაძეს? დეე ავდეევმა მთელი სიმართლე თვალწინ გადაშალოს არა მარტო მე, გინდ თქვენ მხოლოდ, არამედ—ყველა სოციალისტებს განურჩევლად პარტიისა და ფრაქციისა და იმის შემდეგ, როცა ყველა ჩვენგანს ავდეევი დაუმტკიცებს, რომ ის მართლა ბოროტ ცილისწამების მსხვერპლი გახდა, მას შემდეგ, როცა ის ამ ცილის მწამებლებს სამარცხვინო ბოძზე გააკრავს, სწორეთ მის შემდეგ [illegible] ვიტყვით ჩვენ: აი ადამიანი, რომელიც მართალია ღირსია ატაროს რევოლიუციონერისა და სოციალისტის სახელი! და სანამ ეს არ მოუმოქმედნია მას, მაპატიეთ, თუ მე იმ აზრისა დავრჩები, რომ მე ვიყავ მართალი, როცა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე შეკითხვა შევიტანე. ჩემის აზრით, რევოლიუციისა და მისი ორგანოს წმიდა საქმე ჩვენგან მოითხოვს დავიცვათ ისინი ყოველგვარი ჩრდილისაგან საიდან და ვისგანაც არ უნდა მიადგეს ის მათ.

ამხანაგური სალამით ა. ლომთათიძე.

—

P. S. თქვენ, ამხანაგებო, გადაჭრით მოითხოვდით ჩემგან, რომ პასუხი გამეცა 48 საათში, მე ეს სისწორით ავასრულე. შეიძლება თქვენ ისე მოაწყოთ საქმე, რომ თქვენმა ამხანაგმა ავდეევმა ასევე ჩქარა გასცეს პასუხი ჩემ მიერ ზემო ჩამოთვლილ პირებს, რაც მეტის მეტათ სასურველი იქნებოდა.

ა. ლ.

ომი და ზავი.

მტერი წინ მოიწევს.

21 ივლისს „რუსკოე სლოვოს“ და „უტრო როსსიას“ ატყობინებენ: დღეს მტერი პოდოლიის სატახტო ქალაქს 10 ვერსით მიუახლოვდა, გუშინ დაიკავა რა ხოტინი ჟვანციდან 4 ვერსით იყო დაშორებული. ამან გვაიძულა ჩვენ ჩერნოვიცი დაგვეტოვებია. გრჟიმალოვთან აღმოსავლეთით ტრემბოვლიდან ოცი ვერსის მოშორებით მდ. გნილაზე ბრძოლა გაჩაღდა. ეს ადგილი ჩერნოვიც-პროსკუროვის ხაზზეა. ეს ხაზი საფრთხეში აგდებს გუსიატინს, რომელიც გრჟიმალოვიდან სამხრეთით 30 ვერსის მანძილზე იმყოფება. ამ სახით მტერს სურს ალყა შემოარტყას კამენეც-პოდოლსკს. ამ დროს ჩერნოვიცის სამხრეთიდან ჩვენი ჯარის მოჰრა სუჩს. მდგომარეობა რომ სერიოზულია, ეს აშკარაა. კამენეც-პოდოლსკში ისმის განუწყვეტელი ზარბაზნების სროლა. მოდიან ლტოლვილნი ჟვანციდან და ხოტინიდან და მიემართებიან მოგილიოვისკენ. იმ ჩვენი ჯარების ბედს, რომლებიც დნესტრის სამხრეთ ნაპირებზე მოქმედებენ—ბუკოვინის კარპატების ფერდობებზე, გაზეთები ასე უცქერიან: მდგომარეობა მეტის-მეტად გართულდა. მტერი ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთას მოაწვა, ზურგიდან მოქცევათაც კი გვემუქრება ის. ეს ჯარები იმყოფებიან ჩერნოვიციდან ნოვოსელიცამდე მოგილიოვ-ქმერინსკის ხაზზე. მოსალოდნელია ავსტრო-გერმანელთა ჯარებმა ჩვენ გვაიძულონ დავიხიოთ ს. მარეთით და ჩვენი მოქმედება გადავიტანოთ სამხრეთ რუმინიის მოლდავიაში.

რა აზრის არიან რუსეთის შესახებ საზღვარ გარეთ?

ლონდონიდან იტყობინებიან: პეტროგრადიდან დაბრუნებულმა ბრუკერმა მოხსენება გააკეთა სოციალისტურ კონფერენციაზე, რუსეთის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. მისი მოხსენების შემდეგ დამსწრეთ მეტათ ძნელი სურათი წარმოუდგა თვალ-წინ რუსეთის შესახებ,—სთქვა: ლენინელები რუსეთის დანგრევას უწყობენ ხელს, მაგრამ მე მრწამს რევოლიუციონური სასწაული, მსგავსათ იმისა, რომელმაც საფრანგეთი განადიდა. უკეთუ ეს ასე არ მოხდა, გერმანიის გამარჯვება ბრძოლის ველზე დემოკრატიას სრულ გაკოტრებას უმზადებსო. „ბერლინერ ტაგებლატში“ ტეოდორ ვოლფი სწერს, რომ კანცლერის განცხადება საფრანგეთის განზრახვები შესახებ ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს მას სურდეს ისარგებლოს შემთხვევით და ურყოს რეიხსტაგის მიერ წამოყენებული ზავის პირობებით. „ფორვერტსის“ აზრით ძლიერი რუსეთის ინტერესები მოითხოვენ ზავი რაც შეიძლება დაჩქარებით ჩამოგდებას. რუსეთის დამარცხება, ეს იქნება ზავის ისეთი მომხრის დამარცხება, რანაირი ზავიც ჩვენთვის სასურველია. ძლიერი რუსეთი ხეირიანი სახელმწიფო წყობილებით, რომელიც დაიცავს მოკავშირეებს თავ დაცვის ომის წარმოებაში, და მოწინააღმდეგე ყოველგვარი მტაცებლობითი პოლიტიკისა, საუკეთესო დამცველია ისეთი ზავისა, როგორიც ნემცებს ესაჭიროება. რუსეთის დამარცხება კი, ომის გაგრძელებას გამოიწვევს. ვენის გაზეთი „არბეიტერ ციტუნგი“ „ფორვერტსის“ აზრს არ იზიარებს. მისი აზრით რუსეთში ამ ჟამათ ისეთი მდგომარეობაა, რომ რუსეთმა აუცილებლათ უნდა აიძულოს მოკავშირეები ზავის ჩამოსაგდებათ.

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია.

კულტ.-განმანათლებელი მოღვაწეობა.

(ვ. მაისკის მოხსენების დებულებანი).

1) პროლეტარიატის გონებრივად და სულიერად ამაღლება ერთი მთავარი მიზანთაგანია მუშათა მოძრაობისა. მშრომელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესთა დაცვაზე ნაკლები მნიშვნელობა არ აქვს ამას. მხოლოდ ყოველმხრივ განვითარებულ მუშას შეუძლია იყოს კარგი სოციალისტი და პროფესიონალური მოძრაობის ერთგული წევრი. ამასთან ერთად, პროლეტარიატის კულტურულათ ამაღლება და მასში კულტურულ მოთხოვნილებათა გაზრდა ძლიერი მამოძრავებელი ძალაა იმ ბრძოლისა, რომელსაც პრო-

ლეტარიატი თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ აწარმოებს.

2) დასავლეთ ევროპის პროფესიონალურ კავშირთა კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას ორი მხარე ახასიათებს. ინგლისის და გერმანიის პროფესიონალურ მოძრაობას თუ გავეცნობით, ეს ორი მხარე პროფესიონალური მოძრაობისა კულტურულ-განმანათლებელ სფეროში ჩვენთვის აშკარა იქნება.

3) ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა ვიწრო პრაქტიციზმის (საქმიანობის) სულითაა გაჟღენთილი და უკანასკნელ ხანამდე ვერ აქვს შესაფერათ შეთვისებული კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა. მისი პრესა ღარიბია, მისი განმანათლებელი მოღვაწეობა უმნიშვნელო, მისი სულიერი მოთხოვნანი მეტისმეტად შემოფარგლული. ტრედ-იუნიონებს საგანმანათლებლო მიზნით ხარჯების გაღება ფუფუნებათ მიაჩნიათ და ამიტომ ასეთ ხარჯებს ისინი არ ეწევიან, ის მათ ზედ-მეტათ მიაჩნიათ.

4) გერმანიის პროფესიონალური მოძრაობა, პირიქით, დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას. გერმანიაში „თავისუფალი“ პროფესიონალური კავშირები ამ დარგში სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმებით მოქმედებენ. მთელი გერმანია მოფენილია „განმანათლებელი კომიტეტებით“, რომლებშიაც შედიან თანასწორი წარმომადგენლები პარტიიდან და პროფესიონალური კავშირებიდან, რომელთა მუშაობას აერთებს და აწესრიგებს ბერლინის „ცენტრალური საგანმანათლებლო კომიტეტი“. ახალგაზრდა მუშების შესაკავშირებლად და აღსაზრდელად ასეთსავე საფუძველზე მოწყობილი „ჭაბუკთა კომიტეტები“, რომელთაც საკუთარი ცენტრი აქვთ ბერლინში. პროფესიონალური კავშირები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პარტიულ ორგანოების და გამომცემლობის საქმეში, ეს კავშირები აუარებელს, შინაარსიან გაზეთებს სცემენ, რომლებსაც უფასოთ ურიგებენ კავშირის წევრებს. პროფესიონალური მოძრაობის მუშაკთა მოსამზადებლად კავშირებს ბერლინში დაარსებული აქვთ სკოლა და აგრეთვე აუარებელი პროფესიონალური კურსები არსებობენ. ზემო ჩამოთვლილ დაწესებულებებთან ერთად პროფესიონალურ კავშირებს მოწყობილი აქვთ სხვა აუარებელი განმანათლებელი ორგანიზაციები, როგორიცაა მაგ., მომღერალთა, მოვარჯიშეთა, და სხვ. ორგანიზაციები. ამ სახის ორი ორგანიზაცია იქ ყურადღების ღირსია. ერთია „თავისუფალი სახალხო სცენა“ 18 ათასი წევრით, მეორე—„ახალი თავისუფალი სახალხო სცენა“ 50 ათასი წევრით ბერლინში. ამ ორგანიზაციებს მიზნათ აქვთ დასახული, რათა მუშებს თეატრი შეაყვარონ, ის მათ დაუახლოვონ. „ახალმა თავისუფალმა სახალხო სცენამ“ ომის დაწყების წინ ბერლინის შუაგულში მშვენიერი საკუთარი სათეატრო შენობა ააშენა. ასეთი კულტურული მუშაობის შედეგი ყველასათვის ცხადია: კულტურულათ გერმანელი მუშა მაღალ საფეხურზე სდგას.

5) რუსეთის პროფესიონალურმა კავშირებმა გაჩენის დღიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისადმი. ერთი მხრით ეს აიხსნებოდა იმით, რომ რუსეთის მუშათა კლასი განათლების დაბალ საფეხურზე იყო და მეორეს მხრით, იმ იდეალისტური გატაცებით, რომელიც თან სდევს რუსეთის პროლეტარიატის მოძრაობას. იმ დროს, როცა რუსეთში რეაქცია მძვინვარებდა, როცა მუშებს აუარებელი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ ეკონომიური ბრძოლის საწარმოებლათ, სწორეთ ასეთ წლებში მთელი ძალ-ღონე მიმართული იყო კულტურულ მუშაობისაკენ, სადაც შედარებით ნაკლები იყო დაბრკოლებანი.

6) ამ ხანათ პროფესიონალურ მოძრაობაში კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობისა ხდება. რევოლუციამ პროლეტარიატის ფართო ნაწილი გამოაღვიძა და შექმნა ხელსაყრელი პირობები მუშათა კლასის აღსაზრდელათ როგორც კლასობრივ სოციალისტურის, ისე საერთო კულტურულის მხრით. მარტო სახლში მუშაობის დრო წავიდა. ამჟამად პროლეტარულ მოძრაობას საფუძველი ეყრება სრულიად რუსეთის საზომით მთელი წლობით და ათი წლობით წინდაწინ. ეს სხვათა შორის შეეხება პროლეტარულ მოძრაობაში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მოწყობას. რომ ეს მოძრაობა მიზან-შეწონილი და ნაყოფიერი გამოდგეს, ამისთვის საჭიროა ერთი სპეციალური ორგანოს შექმნა, რომელიც პროფესიონალური მოძრაობის კულტურულ-განმანათლებელ მხარეებს უხელმძღვანელებს. ადგილობრივათ უნდა შექმნილ იქნას საგანმანათლებლო კომიტეტები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალური კავშირთა, სოციალისტური პარტიების, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლები. პეტროგრადში უნდა მოეწყოს ასეთსავე საფუძველზე ცენტრალური „განმანათლებლო კომიტეტი“ პროფესიონალური მოძრაობის, სოციალისტური პარტიების და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით, ამ ცენტრალურმა საგანმანათლებლო კომიტეტმა უნდა გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ კომიტეტების მოღვაწეობას, აგრეთვე უნდა გამოსცეს ცენტრალური ბეჭვდითი ორგანო კულტურულ-განმანათლებელი საკითხების გასარკვევათ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

დ. ანაკლია.

12 ივლისს ადგილობრივი რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კოლექტივმა თავისი კრებაზე გამოიტანა თერთმეტი მუხლისაგან შემდგარი საბრალდებლო ოქმი ყოფილი ბოქაულის ნიკო დათას ძე ფულარიას პროვოკატორობის შესახებ და დაადგინა: დაევალოს კოლექტივის წარმომადგენელს ამხ. ს. გურგენიძეს აღნიშნული ბრალდებები წარადგინოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კრებაზე და მოითხოვოს ნიკო ფულარიას დაუყოვნებლივ დაპატიმრება დამფუძნებელი კრების შეკრებამდე. აგრეთვე დაევალოს ადგილობრივ კომისარს ჩამოართვას მას იარაღი.

13 ივლისს აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველივე ბრალდება მიიღო მხედველობაში და თავისი მხრითაც სცნო ხსენებული ფულარია პროვოკატორად და დაადგინა: ნიკო ფულარია დაპატიმრებულ იქნას დამფუძნებელი კრების შეკრებამდე. ფულარია დიდი რიხით დაემუქრა კომისარს აკ. გეგენავას, მაგრამ უკანასკნელმა მას ყურადღება არ მიაქცია და გაგზავნა ზუგდიდის საპყრობილეში.

დატუნიაშვილი.

ქახური. (გურია).

შაბათს, 15 ივლისს იყო გურიანთის რაიონის ს. დ. კოლექტივის წევრთა კრება. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1 მოხსენება გ. ლომინაძისა. 2 პარტიული სტამბის და საარჩევნო კამპანიისათვის დახმარების გამოძებნა. 3. ციხიდან გაშვებულთა და სხვა გარეთ მყოფ მავნე პირთა შესახებ, 4. აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობა. 5. სკოლების გამოკვლევა თემებში, და 6. ბაღლეთის ორგანიზაცია. ამხ. ლომინაძის მოხსენება შეეხებოდა გურიის კომიტეტის დადგენილებებს. პარტიული სტამბის და აგრეთვე საარჩევნო ფონდის შესახებ ბევრი ილაპარაკეს. გადაწყდა პარტიის წევრებმა ერთ ორთოულით გადაიხადონ თითო მანეთი. აგრეთვე გადაწყდა ამ მიზნით მოეწყოს წარმოდგენები და სხვა.

დაადგინეს განთავისუფლონ დაჭერილები და მათ სასჯელათ დაავალეს კვირაში ორჯერ გამოცხადდენ ადგილობრივ სამმართველოში. მათ აეკრძალათ რაიონიდან სხვაგან წასვლა.

აღმასრულებელი კომიტეტი უნდა ექვემდებარებოდეს კოლექტივს და მას არ უნდა ჰქონდეს ნება გასცეს კეთილსაიმედოობის მოწმობა; გარდა ამისა კრებამ უკანონოთ სცნო კომიტეტის მხრით მოწმობის მიცემა ყოფილი „სტრაჟნიკ“ ტიგურაძისთვის და დაადგინა ჩამოერთვას ტიგურაძეს ეს მოწმობა. შემდეგში კრება აფრთხილებს კომიტეტს არ დაუშვას ასეთი შეცდომები. სკოლების შესახებ გადაწყდა: ამოირჩეულ იქნეს პედაგოგიური საბჭო ადგილობრივ ე. ი. გურიანთის საზოგადოების მასწავლებლებისაგან და აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტიდან სასკოლო კომიტეტი, რომლებმაც უნდა იღონოს შესაძლებლობა სკოლების გახსნის და აგრეთვე მასწავლებლების მომზადების შესახებ. ბაღლეთის ორგანიზაციის უკმაყოფილების შესახებ გამოირკვა შემდეგი: იქაურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადგილობრივ პარტიის წევრები უარს ამბობენ პარტიაში მუშაობაზე თუ მათ არ მოშორდება ერთი პიროვნება, რომელიც თუმცა პარტიის წევრია, მაგრამ არა სასურველია მათთვის. კრებამ ამ უკმაყოფილების გამოსარკვევათ დანიშნა კოლექტივის წევრები: სიმონ ჯორბენაძე და შალიკო კვირკველია, რომლებმაც უნდა მოახდინონ კრება ბაღლეთში და გამოიკვლიონ ადგილობრივათ მთელი საქმე.

სიმონ ჯორბენაძე.

მუშათა ცხოვრება

სოფ. ატენის (გორის მაზრა) ქარხნის მუშებმა შეაგროვეს 182 მ. 50 კ. აქედან საარჩევნო ფონდისათვის (რ. ს. დ. მ. პ.) ასი მანეთი (100 მ.) და საკუთარი პარტიული სტამბისათვის 82 მ. 50 კ. აქ მუშებსა და აწარმოებელთ შორის დამოკიდებულება გაფუჭებულია. ამის მიზეზი ბევრნაირია. მუშებმა აქ დაადგინეს რვა საათის სამუშაო დღის შემოღება. ამ დღეებში რამდენიმე მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილების წაყენებას აპირებენ მუშები, რომელთაგან ყურადღების ღირსია, რათა თვით წარმოებაზე დაწესდეს ზედამხედველობა მუშებისაგან. წარმოებაში ბევრმა არასასურველმა მოხელემ იჩინა თავი, ამიტომ მუშები იძულებული გახდნენ, სხვათა შორის ასეთი მოთხოვნაც წამოეყენებინათ.

ლ. ზამბახიძე.

დ. ახალ-სენაკი.

თებერვლის რევოლუციამ ყოველი მიძინებული კუთხე გამოაფხიზლა და ჩაგრულთა კლასი შეუდგა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ნოქრები ყველგან ცდილობენ შეერთებას, შეკავშირებას და საერთო ძალღონით ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ახალსენაკში ნოქრების წვალება, ზედმეტი მუშაობა (ქუჩაში ვაჭრობა დუქნების დაკეტვის შემდეგ), ცემა-ტყეპა, დათხოვნა, ცუდი საჭმელი, დაფლეთილი ტანისამოსი, ხაზეინის არა-ადამიანური მოპყრობა, უმნიშვნელო ხელფასი და მრავალი სხვა სავსეა აქაური ნოქრების ცხოვრება, მაგრამ შეკავშირებას კიდევ ვერ ახერხებენ. ასე ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია. ამ კვირიდან მოხდება ნოქრების კრება, სადაც გამოარკვევენ ერთობა-შეკავშირების მნიშვნელობას. განზრახულია ახალსენაკის ნოქრების ორ პროფესიონალურ კავშირებათ მოწყობა. ყველა ხელოსნები იქნებიან ერთ კავშირში, არა-ხელოსნები მეორეში. ამ ორ კავშირს ექნება ერთმანეთთან მჭიდრო დამოკიდებულება. საჭიროა ყველანი დაესწრონ კრებას და ჩაეწერონ კავშირში.

ძმაკაცი.

რევოლუცია პროვინციაში

ქალ. ალექსანდროპოლი.

19 ივლისს, აქ მოხდა მთელი ალექსანდროპოლის გარნიზონის ჯარისკაცთა მიტინგი. ორატორები არკვევდნენ დღევანდელ მომენტთან დამოკიდებულებას და მასთან შეფარდებულ მუშაობას. საღამოს ოთხ საათისას რევოლუციონერი სიმღერებით რკინის გზის სადგურისაკენ წავიდნენ, აქ შეუერთდნენ რკ. გზის მოსამსახურენიც. აქ ილაპარაკა სამოცი წლის მოხუცმა ლეონტიევმა ყოფილმა კატორღელმა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: სრული ნდობა გამოეცხადოს ახალ მთავრობას.

ჯვარიშვილი.

სად. ჯუმათი.

16 ივლისს, აქ მოხდა მთელი საზოგადოების კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კ. ტუღუში, მდივნათ კვაჭაძე. პირველად ვრცელი მოხსენება გააკეთა გლეხთა დეპუტატების ყრილობის მუშაობის შესახებ ამხ. კ. ტუღუშმა. შემდეგ კრებამ იმსჯელა პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ და დაადგინა შემდეგი: ვინაიდან სამოსწავლო დრო მოახლოვებულია და აქამდე შენობის აგება შეუძლებელია, ამიტომ პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი დროებით სად. ჯუმათში არსებულ ერთ კლასიან სასწავლებლის შენობაში მოთავსდეს. შენობა დიდია და შეიძლება ამ სასწავლებლის მოთავსება იქ. ერთი კლასიანი სასწავლებელი იქნას მოთავსებული ეკალაძის სახ. შუადგილზე. შემდეგ ამხ. თოძე აფხაზავას წინადადებით დაადგინეს: შეჩერებულ იქნას დამფუძნებელ კრების მოწვევამდის ყველა ძველი საქმეები. შემდეგ კრებამ დაადგინა: რადგან მიკიტნებმა ძალზე გააძვირეს სასმელ-საჭმელი, ამიტომ დაარსდეს სად. ჯუმათში ქალთა კოოპერატიული სასადილო. ერთხმობით აირჩიეს ხუთი პირისაგან შემდგარი გამგეობა, ოთხი ქალი და ერთი კაცი. შემდეგ არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი მუშათა საბჭო, რომელსაც ევალება დეზერტირების გაგზავნა თავის ადგილზე და სხვა ადგილობრივი საქმეები. საბჭოში შედის ს. მელიძე, ქ. ტუღუში და შ. კვაჭაძე. შემდეგ ქალთა წრემ წინადადება მისცა კრებას, ვინაიდან მამაკაცები და დედაკაცები სრულ თანასწორ უფლებიანი ვართ, ჩვენ მოვითხოვთ აღმასრულებელ კომიტეტში ჩვენგან არჩეული ქალიც იქნას დამტკიცებული. ეს წინადადება კრებამ კანონიერად სცნო და დაადგინა, რადგანაც ქალების რიცხვი დღეს კრებაზე ძლიერ მცირეა, ამიტომ მომავალ კრებაზე მოხდეს არჩევნები.

მაკაშვილი.

მეპურეების თავგასულობა.

თანამედროვე ომმა ისეთი არევ-დარევა შეიტანა ცხოვრებაში, რომ ზოგიერთი თავის რიგზე არ დგება და ყველაფერს თავისი დღე დაადგა. ამ შემთხვევით ვინ გინდა რომ არ სარგებლობდეს! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ მხრივ უფრო საყურადღებონი არიან ჩვენი მეპურეები. ამათ თავიანთ თავგასულობით ყველას წინ გაუსწრეს; ფულის მოგების მიზნით ჯერ ცომს, სრულიად გამოუცხვარ პურს აცხობდენ, რომ წონაში მეტი მოსულიყო, და როცა ამაზე ხელი ააღებინეს ახლა „ნაროდნაის“ მიჰყვეს ხელი, ე. ი. პურს უწონლად ორ გირვანქის სახით ასაღებენ. პური რასაკვირველია ამდენ წონას არ შეიცავს და ზოგჯერ თითო პურს ნახ. გირვანქა და კიდევ მეტიც აკლია, ეს უკმაყოფილებას ჰბადებს. ამგვარად გირვანქა პური აბაზამდე უჯდება მყიდველს. ეს ორი დღეა, რაც ქალაქში ცოტა ნორმალური პურმა იჩინა თავი (მხოლოდ კი სიმინდ-ნარევია). ამ გარემოებით ზოგიერთმა ისარგებლეს, და ორი გირვანქა პურს ხუთშაურის მაგიერად, ექვს-ექვს შაურათ ჰყიდიან. აუცილებლად საჭიროა, რომ ამ საქმეს ჩქარა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, თორემ დიდ უკმაყოფილებას ჰბადებს მცხოვრებთა შორის.

მოქალაქე.

გაზეთის სასარგებლოთ.

მივიღეთ ჯ.-კ. ფილიპე ჩიკვილაძისაგან ამხანაგებში შეგროვილი 38 მან. აქედან გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის 15 მან. პარტიულ სტამბის შესაძენად 15 მან. და 8 მან. ღარიბ ამხანაგთა სასარგებლოდ.

—

მივიღეთ იოსებ კალანდაძისაგან ამხანაგებში შეგროვილი ორმოცდა ათი მან. პარტიულ სტამბის ფონდისთვის.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუცხადებთ ჯარისკაც ვლადიმერ სალუქვაძეს, რომელმაც თავის ამხანაგ მეგობართა შორის შეაგროვა ფიმფილეთის სოფლის სამკითხველოს სასარგებლოთ 101 მან. 20 კაპ.

მადლობას ვწირავთ აგრეთვე ვაკის ჯვრის სცენის მოყვარეთა წრეს, რომელმაც შემოსწირა ამავე სამკითხველოს 20 მან.

ფიმფილეთის სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით გამგ. წევრი **იპოლიტე ინწკირველი.**

მადლობას ვუცხადებთ ქვემო მოხსენებულ პირთ თავიანთ ნაცნობებს შორის შეგროვილ წვლილისათვის:

ფილიპე ვაჩიაშვილი 80 მ., პროკლე პორდოლაძე 106 მ. 61 კ., სამსონ გიორ. სიხარულიძე 324 მ., ხარბინის ქართველი საზოგადოებამ 25 მ., შერმანტი ტრ. დოლიძე 43 მ., სილიბისტრო თავართქილაძე 61 მ. 80 კ. და თენგიზ ტუნტი 83 მან.

ჩოხატაურის სასწავლებლის გამგე **ალექსანდრე ხ. ჰურაძე.**

მადლობას ვუცხადებთ, იმ პირებს, რომლებმაც შეაგროვეს თავის ნაცნობებს შორის „ნაგომრის“ წიგნთ-საცავ სამკითხველოს შენობის ასაგებათ შემოწირულება:

ნიკო ცინცაძემ 10 მან. (ბათუმიდან), გრიგოლ გოგოძემ 10 მ. ჯარ.-კაც. (ბათ). ტარიელ მგელაძემ 25 მან. (ფოთი), სამსონ მდინარაძემ 121 მ. 50 კ. (ტრაპიზონიდან), ნიკოლოზ გოთუამ 54 მან. 25 კ. (ძმითიდან).

ნაგომრის წიგნთ საცავ-სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით **კირილე უჯმაჯურიძე.**

ამხ. ტროფიმე დავითის ძე პერტენავამ სოფ. აბაშის სახალხო ვაჟთა და ქალთა სკოლებში მოსწავლე ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ შემოსწირა ასი მან.

ამხ. პავლე რომანოზის ძე ქორთავამ სოფ. აბაშის მომხ. საზოგ. „შეღავათ“-ს გამოუწერა წლის ბოლომდის გაზ. „ერთობა“ და „ბრძოლა“, რისთვისაც მადლობას უძღვნით მათ.

წევრი გამგეობისა ხევახტი ქოიავა.

ს. ჩანჩეთი. (გურია). ეგნატე ნინოშვილის სახლზე გახსნილ სასკოლო ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს:

ოზურგეთის ს. დ. ო. 50 მ., ფოთის ს. დ. ო. 50 მ., ჩიბათის ს. დ. ო. 50 მ., ბათუმის ს. ფ. ო. 25 მ., ჯუმათის რაიონიდან 25 მ., მე 22 სათადარიგო პოლკის მეხუთე როტიდან შემოსწირა ნოე ლუბაძემ 28 მ. 50 კ., აკეთის ს. დ. ო. 25 მ., ანტონ მუჯირმა 25 მ., ჩაქვის ს. დ. ო. 25 მ., ქობულეთის ს. დ. ო. 25 მ., ოზურგეთის ქალთა წრემ 25 მ., კოწია მენტეშიამ 25 მ., ჯურუყვეთის საზოგადოებამ 25 მ., იაკინთე ბოლქვაძემ 15 მ., ბახვისწყალში და სამსონ ტუღუშმა 15 მ., ჩანჩეთის კოოპერატივმა 8 მ., ბასილე ნაკაშიძემ 11 მ., სვიმონ ტუღუშმა 10 მ., ისიდორე კვირკველიამ 10 მ., ნოე კანდელაკმა 10 მ., მოსე ოკუ. ტუღუშმა 10 მ., სამტრედიის დეპოს მუხიკან. 10 მ., ნესტორ ჟუგუნელიძემ 10 მ., ივანე ბარათაშვილის მიერ შეგროვილი 16 მან. 50 კ., კალენიკე დოლიძემ და სევერიანე თოდუამ 80 მ., ჩანჩეთის ქალთა წრემ 100 მან., შალვა მუნიშმა ბიბლიოთეკის სასარგებლოთ შემოსწირა 100 მ.

ხ. ტუღუში.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

დახოცილი ჯარისკაცები ქართველ მსროლელთა პოლკში: პირველი როტის—1) მაკენტი კაკაჩია ძე გორდელაძე (ქუთ. გუბ.); 2) რომან მიხეილის ძე შონია (ქუთ. გუბ.); 3) სევერიან დევალი (ქუთ. გუბ.); 4) თედორე გაბლიშვილი (ქუთ. გუბ.)

დაჭრილები იმავე როტის—პეტრე მგალობლიშვილი, ხარჩილავა ისიდორე, ბორცვაძე ვასილი, თედორაშვილი მიქელ, თავაძე ილიკო.

რეზო გიგინეიშვილი.

— ჯარისკაცი ხალამპრე [illegible] ჩხაიძე მსახურებდა კავკ. ჯარში მე 39 არტილერიის ბრიგადაში 1 ბატარეაში მე 3 ვზვოდში.

გთხოვთ გვაცნობოთ: Батумъ. Депо з. к. ж. д. კოლია ჩხაიძე.

— ჯარისკაცი გიორგი ანდრიას ძე ბერიაშვილი მსახურებდა მე-23 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე-10 როტაში.

გთხოვთ გვაცნობოთ მის შესახებ შემდეგი მისამართით: სიღნაღის მაზრა სოფ. ჯიმითი მაცხა ბერიაშვილი—ფიროსიანთი.

— ჯარისკაცი არჩილ კირილეს ძე ხვანიძე მსახურებდა მე-2 კავკ. სათადარიგო არტილერიის დივიზიაში მე 2 ბატარეაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ: Ст. Квирилы Нефтекачкѣ Сопрому Перадзе.

— ჯარისკაცი ლომინტი ელიზბარის ძე ბაძაძე მსახურებდა მე 24 კავკ. მსროლელთა პოლკში, მე-11 როტ. მე-4 ვზვოდში. თითქმის ერთი წელია, რაც მისმა ნათესავებმა მის შესახებ არაფერი იციან. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: Баку. Бѣлый городъ, 1-я рота Афанасій Джангвеладзе.

— ჯარისკაცი ონისიმე ოქროპირის ძე ხუხუნაიშვილი მსახურობდა მე 153 სამხედრო სანიტარულ ტრანსპორტში.

გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს: М. Ланчхуты. Мелхиседеку Хухунаишвили.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი

(საოლქო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრაკეს რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. იგივე წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულად.
2. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.
3. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუსულად.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организаціи Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.

გამოცემანი

ბათუმის კომიტეტისა რ. ს.-დ. მ. პ.

გამოვიდა რუსულ ენაზე:

1) საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე—საბაკოვის რედაქციით	15 კ.
2) რას იძლევა დემოკრატ. რესპ. ა. მ.	10 „
3) რას ასწავლის მუშებს ცხოვრება—ვოლოდინის	15 „
4) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—ბ. სამოილოვის	10 „
5) რა არის მუშათა პარტია—ს. მახაილოვის	10 „
5) როგორ უნდა მიიღონ გლეხებმა მიწა?—პ. მასლოვის	25 „
7) ვინ რით ცხოვრობს—დიკშტეინის	25 „
8) მუშათა მიზანი რევოლუციაში—ა. ბოლდინოვის	20 „
9) შრომა და კაპიტალი—სვიდერსკის	35 „
10) ძირს სოციალ-დემოკრ.—ნ. ბრაკეს	10 „
11) ომობა და მუზი—ვ. ლიბკნეხტის	10 „
12) სოც.-დემოკ. მიზანი—ა. ბებელის	10 „
13) რა უნდა ვუქნათ მიწას? პ. მასლოვის	15 „
14) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის	15 „
15) ს. დ. პროგრამა რუსულ, ქართულ, ბერძნულ, სომხურ და თათრულ ენებზე	10 „
16) მუნიციპალური პლატფ. რ. ს.-დ. მ. პ.	10 „

ქართულ ენაზე:

1) ჩვენი მიზანი—ვ. ლიბკნეხტისა	35 „
2) რა აზრის არიან სოც.-დემ. და სოც.-რევ. მიწის შესახებ ტ. დერევენსკის და რა უნდა ვუქნათ მიწას—პ. მასლოვის	30 „
3) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—სამოილოვის	20 „
4) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის	15 „
5) ოთხი ძმა	30 „
6) მუნიციპალური პლატფორმა ს.-დ.	15 „

იბეჭდება რუსულ ენაზე:

1) რა აზრის არიან ს. დ. და ს.-რ. მიწის შესახებ დერევენსკისა	20 „
2) და რა უნდათ ს.-დემ. ვ. ლევიცკის	20 „

არის აგრეთვე გასაყიდლად, ქართ. ენაზე:

1) სოც.-დემოკრატია, დემოკრატია და სოც.-დემ. და სოც.-რევოლუციონერები—ნოე ჟორდანიასი.	30 „
2) სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა	20 „
3) რა არის დამფუძნებელი კრება—ვ. სტრუენოვის	25 „
4) კომუნისტური მანიფესტი (რუსულ ენაზე)—	20 „

გამოწერა შეიძლება შემდეგი ადრესით: Батумъ, Морская № 3. (бывшій д. губернатора) бюро соц.-дем.

ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 50 ც. დაეთმობათ 20%.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებებით ყოველ დღე 8—5 საათ. საღამომდე, ვორონცოვის [illegible], [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 13, ტელეფონი № 11—82.

სოც.-დემოკრ. სტამბა [illegible] შესახვევი № 1.